პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კ.

კვირა,
11
ოქტომბერი
1936 წ.
№ 236 (4735)

დღეს გაზეთში:

- მთავარია სტანდარტი, ხარისხი, ასორტიმენტი! (მოწინავე).
- მუშები იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას.
- საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში — საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა.
- მოწინავეთა შეკრება შამპანურის ძირითად რაიონში.

უცხოეთში:

- ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა ერთა ლიგის პლენუმის გენერალური კომისიის სხდომაზე.
- ლარგო კაბალიერო მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხს.
- პრესის გამოხმაურება სსრ კავშირის წარმომადგენლის ამხ. კაგანის განცხადებაზე.
- კანონიერი მთავრობის დეკრეტები.
- „დავიხოცებით, მაგრამ უკან არ დავიხევთ".
- „სასიკვდილო ლახვარი მატყუარობას ჩაურევლობის მიმართ".

მთავარია სტანდარტი, ხარისხი, ასორტიმენტი!

თამბაქო მაღალშემოსავლიანი კულტურაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შარშან მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა (აფხაზეთის გამოკლებით) თამბაქოში მიიღეს 27.500.000 მანეთი. ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებმა უკანასკნელ 4-5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს თამბაქოს ფრონტზე. 1931 წელს ჰექტარზე თამბაქოს მოსავალი უდრიდა 3.87 ცენტნერს, შარშან კი მოსავალი გადიდებული იქნა 7,8 ცენტნერამდე.

წელს ჩატარებულმა მაღალმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა და კოლმეურნეთა ბეჯითმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. 15 სექტემბრის საექსპერტო შეფასებით, საქართველოში გეგმით გათვალისწინებულ 9,2 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მოდის 10 ცენტნერი. ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობაში ჰექტარზე ღებულობენ 15-20 ცენტნერამდე. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მეთამბაქოობის კოლმეურნეობებს კიდევ უფრო განმტკიცდნენ მეურნეობრივად და პოლიტიკურად. ამის საუკეთესო ილუსტრაციას ისიც წარმოადგენს, რომ მეთამბაქოე კოლმეურნეობები წელს ჩაბარებულ თამბაქოში მიიღებენ სულ მცირე 37-38 მილიონ მანეთს.

შარშან საქართველოსა და აზოვ-შავიზღვის მხარეს შორის მოეწყო სოციალისტური შეჯიბრება თამბაქოს განვითარების დარგში. საქართველომ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. შეჯიბრება წელსაც გრძელდება. ამხ. ლ. ბერიამ საქ. კ.პ.(ბ) V პლენუმზე დაგვისახა საბრძოლო ამოცანა: „ჩვენ შარშან გავიმარჯვეთ შეჯიბრებაში და არ შეგვიძლიან და არც უნდა დავთმოთ დაპყრობილი პოზიციები. აზოვ-შავიზღვის მხარესთან შეჯიბრებაში თამბაქოს მხრივ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ წელსაც". ეს გვავალებს მთელი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით მოვეკიდოთ თამბაქოს დამზადებას, რომელიც უკვე იწყება.

წელს სახელმწიფოს უნდა ჩაჰბარდეს 13.094 ტონა თამბაქო.

ორდენოსანი საქართველოს წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, დასახული — თამბაქოს ჩაბარების გეგმა შესრულდეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ, რაც მთავარია, დაწესებული სტანდარტისა და ხარისხის მიხედვით. წელს თამბაქოსადმი წაყენებული მოთხოვნილებანი სტანდარტისა და ასორტიმენტის მხრივ გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე გასულ წლებში იყო. თამბაქოს ახალი სტანდარტი არ არის უბრალო საქმე. ამ შემთხვევაში საჭიროა თამბაქოს დამუშავება არა მარტო ძაფად, არამედ დამატადალაც. ამიტომ იგი მოითხოვს კვალიფიციურ მცოდნე აგრონომების, აგროტექნიკოსების,— თამბაქოს მიმღებ-დამხარისხებელთა და დამცალებელთა მართებულად განაწილებას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს რომ თამბაქოს დამუშავება-დაცალების ახალი მეთოდი ფართოდ გაეცნონ ყველა კოლმეურნეობას, ყველა კოლმეურნესა და ერთპიროვნულ მეურნეს. გაძლიერებული სტანდარტის აგროტექნიკა საფუძვლიანად უნდა დაინერგოს კოლმეურნეობებში და არ უნდა განმეორდეს შარშანდელი მაგალითები, როცა დამამზადებელი პუნქტები კოლმეურნეობებს ხელახლა დასამუშავებლად უკან აბრუნებენ თამბაქოს ცალებს სტანდარტის დაუცველობის გამო.

ზოგან არ ითვალისწინებენ მიმდინარე წლის ამ განსაკუთრებულ ამოცანას მეთამბაქოობაში. ბორჩალოსა და ლუქსემბურგის რაიონების კოლმეურნეობებში სუსტად მიმდინარეობს ახალი სტანდარტის დანერგვა, მეთამბაქოეთა ყურადღება არ არის მობილიზებული ამ საკითხის ირგვლივ, რაიონის აგროპერსონალი ამ საქმეში შესაფერისად არ არის გამოყენებული. ასეთი მდგომარეობის მოთმენა ყოვლად შეუწყნარებელია.

ხარისხოვანი თამბაქოს დამზადების მხრივ დიდი პასუხისმგებლობა აქვთ დაკისრებული აჭარის, სამეგრელოს რაიონებს, ლაგოდეხსა და სიღნაღს, რადგან აქ საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოდის. მთელი მუშაობა იმნაირად უნდა გაიშალოს, რომ დაცალებისას არ დაუშვან სხვადასხვა შეტეხვის თამბაქოს ერთმანეთში არევა. ამასთანავე ყუთში უნდა ჩალაგდეს ერთი სასაქონლო ხარისხისა და ნორმალური სინესტის თამბაქოს ფოთოლი. ამ საქმეზე უნდა დაწესდეს მტკიცე კონტროლი.

თამბაქოს სტანდარტის ყოველმხრივ დაცვასთან ერთად არცერთი წუთით არ უნდა შევანელოთ ყურადღება თამბაქოს დამზადების ტემპების გაძლიერებისათვის. თამბაქოდამზადების გეგმების შესრულება ვადაზე და გადაჭარბებით, მაღალი ხარისხის თამბაქო სახელმწიფოს — აი რა ლოზუნგით უნდა წარმართონ მუშაობა მეთამბაქოობის რაიონებმა.

ამ საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად ყველა პირობა არსებობს. კოლმეურნეობა, კოლმეურნე და ერთპიროვნული მშრომელი მეურნე ღებულობს პრემია-წანამატს, თუ იგი გადაჭარბებით შეასრულებს 1936 წლის მოსავლიდან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თამბაქოს ჩაბარების გეგმებს რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით. ეს პრემია-წანამატი სტიმულს იძლევა მუყაითი და თავდადებული მუშაობისათვის.

დიდი მუშაობა მოელით დამამზადებელ პუნქტებს. მათ მოეთხოვებათ არა მარტო ის, რომ შეუფერხებლივ აწარმოონ თამბაქოს მიღება, არამედ იზრუნონ თამბაქოს მაღალი ხარისხისათვისაც. ჯერ კიდევ სანამ დრო არის, მიმღები პუნქტები უნდა მოვიყვანოთ სრულ წესრიგში და განვამტკიცოთ შემოწმებული კადრებით. მიმღები პუნქტები საათის მექანიზმივით უნდა მუშაობდნენ. უნდა ვისწავლოთ თამბაქოს კულტურულად დამზადება! არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიმღები პუნქტების და საწყობების ისეთი გამგეები, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ამოსწურავენ მარტო მიღებით და არ იზრუნებენ გაძლიერებული სტანდარტის ყოველმხრივ დაცვისათვის — უსათუოდ ცუდი დამამზადებლები არიან.

უნდა გვახსოვდეს მტკიცედ: აზოვ-შავი ზღვის მხარესთან სოც-შეჯიბრებაში წელს გამარჯვების ბედს უმთავრესად სწყვეტს თამბაქოს დამზადების გეგმის შესრულება სტანდარტის მტკიცედ დაცვით!

სპორტის დამსახურებულ ოსტატთა სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილება

განიხილა რა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქართველოს კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალები ამხ. რცხილაძესა, იოსელიანსა და ეგნატაშვილზე მათთვის სპორტის დამსახურებულ ოსტატთა სახელწოდების მინიჭების შესახებ, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტი ადგენს:

მიენიჭოს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატთა სახელწოდება ამხანაგებს:

გიორგი ვასილის-ძე რცხილაძეს — საქართველო,

დიმიტრი მელიტონის-ძე იოსელიანს — საქართველო,

გიორგი სიმონის-ძე ეგნატაშვილს — საქართველო.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე

ი. ი. ხარჩენკო.

◇ ◇ ◇

მეცხოველეობის ენთუზიასტები — ამხ. ლ. ბერიას

დუშეთის რაიონის გუდამაყრის სასოფლო საბჭოს მეცხოველეობის ფერმების მწყემსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ცნობარები 120 კაცის შემადგენლობით, რომლებიც შევიკრიბეთ 4 ოქტომბერს საზამთრო საძოვრებზე გამგზავრების წინ, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, ამხ. ლავრენტი, საქართველოსა და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის სტალინურ მესაჭეს და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს.

შეკრება სიტყვას გაძლევთ, ამხ. ლავრენტი, რომ ჩვენს საკოლმეურნეო ფერმებს განვამტკიცებთ თქვენი მითითებების საფუძველზე, რომ თქვენი კონკრეტული ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით უზრუნველვყოფთ საზამთრო საძოვრებზე ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის საუკეთესო გამოკვებას და ნამატის 100 პროცენტით შენარჩუნებას, მივაღწევთ მატყლის საუკეთესო ხარისხს, გავზრდით საქონლის პროდუქტიულობას, დავიცავთ სოციალისტურ საკოლმეურნეო ქონებას და ვიბრძოლებთ, რათა, როგორც გასულ წელს, ისე მომავალშიაც ორდენოსანი საქართველო გამოვიდეს გამარჯვებული ჩრდილო-კავკასიასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შეკრების პრეზიდიუმი.

○ ◇ ○

ახალი დანიშვნები

საქართველოს ცაკის 10 ოქტ. დადგენილებით, ამხ. ი. ა. პეტროვი განთავისუფლებულია საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობისაგან.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნულია ამხ. **სერგო ნარიმანის-ძე ხვედელიძე**.

○

საქ. ცაკის დადგენილებით, ამხ. **გრიგოლ ისაკის-ძე აბრამიანი** და-

ესპანეთის სახალხო მილიციის მებრძოლი ქალები სარაგოსის ფრონტზე. (სოიუზფოტო)

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამოსვლა

ერთა ლიგის პლენუმის გენერალური კომისიის სხდომაზე

ჟენევა, 9 ოქტომბერი. დღეს დილით შესდგა სხდომა ერთა ლიგის პლენუმის გენერალური კომისიისა, რომელიც ახლად არის შექმნილი ერთა ლიგის წესდების პრინციპთა ცხოვრებაში გატარების საკითხის განსახილველად. დასაწყისიდანვე გამოირკვა, რომ სხდომაზე გრძელდება ორი თვალსაზრისის იგივე ბრძოლა, რომელიც ერთა ლიგის პლენუმის ბიუროს სხდომაზე სწარმოებდა. პირველი თვალსაზრისის მომხრეთ აუცილებლად მიაჩნიათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონკრეტულ წინადადებათა შემუშავებას არსებულ მასალის საფუძველზე; მეორე თვალსაზრისის მომხრენი ცდილობენ მონახონ მოხერხებული ფორმა, რათა „დამარხონ" მთელი საკითხი ან ყოველ შემთხვევაში გააჭიანურონ და გადასდონ იგი მანამდე, სანამ ერთა ლიგის გარეთ მყოფი ზოგიერთი სახელმწიფო თავისი აზრის გამოთქმას ინებებდეს. მეორე ტენდენციამ აშკარად იჩინა თავი დელეგატების — ტანჩოსის (უნგრეთი) და ოლდინის (ჩილი) გამოსვლებში იმ რეზოლუციის სასარგებლოდ, რომელიც ჩილის დელეგაციამ გაერთიან სადამოს ლიგის პლენუმის სხდომაზე შეიტანა. ეს რეზოლუცია აცხადებს, რომ უნივერსალიზმი წარმოადგენს „ერთა ლიგის ქმედუნარიანობისა და წარმატების აუცილებელ პირობას" და ამიტომ წინადადებას იძლევა ჯერ გაეცნონ იმ სახელმწიფოთა თვალსაზრისს, რომელნიც ერთა ლიგაში არ შედიან. ეს „გაცნობა" უნდა ხდებოდეს ან დიპლომატიური მოლაპარაკების გზით, ან სპეციალური დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის გზით. სხვა ფორმით იმავე ტენდენციამ იჩინა თავი მოტას (შვეიცარია) და ვასკონსელოსის (პორტუგალია) წინადადებაში, რომ ამ პლენუმის დახურვის შემდეგ მუშაობის განსაგრძობად დანიშნულმა კომისიამ ხელი მოჰკიდოს მხოლოდ-მხოლოდ საკითხის „შესწავლას" და ერთა ლიგის საბჭოსათვის წარსადგენი მოხსენების შედგენას.

ორივე ამ წინადადების საპასუხოდ გამოვიდა ამხ. ლიტვინოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ უკვე მოიპოვება დიდძალი მასალა ამ საკითხის შესახებ, მთავრობათა პასუხი ერთა ლიგის სამდივნოს შეკითხვაზე და ამ პასუხთა მიმოხილვა, შედგენილი სამდივნოს მიერ. საჭირო არ არის ამავე მუშაობის ხელმეორედ გაწევა. ამხ. ლიტვინოვმა წამოაყენა წინადადება, რომ მთავრობანი, რომელთაც დღევანდლამდე არც წერილობით, არც სიტყვიერად ლიგის პლენუმზე თავისი აზრი არ გამოუთქვამთ, ახლა გამოვიდნენ. თუ ლაპარაკი არავის არ სურს, მაშინ შეიძლება დოკუმენტაცია ამომწურავად მივიჩნიოთ და შეიძლება ახლავე დავნიშნოთ კომიტეტი საკითხის შემდგომი დამუშავებისა და შესწავლისათვის. მაგრამ საჭიროა შევთანხმდეთ სიტყვა „შესწავლის" მნიშვნელობაზე. ამხ. ლიტვინოვი ხაზს უსვამს, რომ ეს სიტყვა შეიძლება გვესმოდეს წმინდა მეცნიერული აზრით, დაუსრულებელი კვლევა-ძიების აზრით, და „მაშინ ჩვენ ხიფათი მოგველის, რომ მუდმივ სტუდენტებად გადავიქცევით". ანდა შეიძლება ეს სიტყვა გვესმოდეს პრაქტიკული და პოლიტიკური აზრით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ავიტანოთ პრაქტიკული წინადადებანი რომელნიც გამომდინარეობენ ერთა ლიგის მუშაობის გამოცდილების შესახებ სახელმწიფოთა მიერ უკვე წარმოდგენილ წინადადებებისაგან. ამხ. ლიტვინოვმა გადაჭრით გაილაშქრა ჩილის დელეგატის მიერ „უნივერსალიზმის" შესახებ წამოყენებული საკითხის წინააღმდეგ. საქმე რომ ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას ეხებოდეს, მაშინ შეიძლებოდა გველაპარაკა იმაზე, რომ მოვიწვიოთ ყველა მთავრობა, ერთა ლიგის არა-წევრნიც, თუკი მათ აშკარად არ გაილაშქრეს ლიგასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ. მაგრამ ამჟამად ახალ ერთა ლიგაზე როდია ლაპარაკი. ყველა დამფუძნებელი უკვე ლიგის წევრები არიან; მათ ნაკისრი აქვთ განსაზღვრული ვალდებულებანი, რომელნიც ლიგის არა-წევრთ არ ბოჭავენ; ლიგის წევრთ აქვთ განსაზღვრული პასუხისმგებლობა, რომელსაც ლიგის არა-წევრნი არავითარ შემთხვევაში არ იზიარებენ. განა რაციონალურია ასეთ პირობებში მოვიწვიოთ ლიგის არა-წევრნი, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ერთა ლიგის წესდების საკითხის განხილვაში. სად ხდება ეს ქვეყნიერებაზე? განა შეიძლება დავუშვათ, რომ კომისიის მუშაობის შედეგებზე გავლენას ახდენდნენ ის სახელმწიფონი, რომელნიც ერთა ლიგის მიმართ არავითარი ვალდებულებით არ არიან შებოჭილი და რომელნიც არც აპირებენ ერთა ლიგაში შესვლას? ამხ. ლიტვინოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ [illegible] სტადიებში, კომისიის მუშაობის შედეგთა გამოქვეყნების დროს, შესაძლოა, მიზანშეწონილი იქნება მოვიწვიოთ ყველა სახელმწიფო — გამოსთქვან თავისი აზრი არსებულ წინადადებათა გამო, დამოუკიდებლად იმისა, არიან თუ არა ისინი ლიგის წევრნი. მაგრამ შესავალ სტადიაში არავითარი საფუძველი არა გვაქვს ასე მოვიქცეთ.

აზრთა შემდგომი ურთიერთი გაზიარების შედეგად კომისიამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს ერთა ლიგის პლენუმს შექმნას კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ერთა ლიგის საბჭოს ყველა წევრი (15 კაცი) და ლიგის მთელი რიგი წევრნი, რომელნიც საბჭოში არ შედიან (8-10 კაცი).

პრესის გამოხმაურება სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადებაზე

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხის კომიტეტის თავმჯდომარის

ესპანეთი

მადრიდი, 9 ოქტომბერი. აქ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადებამ. სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის გაზეთი „კლარიდადი" სწერს:

„ეს პირველი შემთხვევაა მედგარი გამოსვლისა ფაშისტური ქვეყნების უსინდისო და ალვირახსნილი თავხედობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა გადამწყვეტ პოზიციას დაადგა და მაგალითს უჩვენებს სხვა სახელმწიფოებს, რომელნიც ან დაშინებული არიან, ან ეგოისტური მოტივებით ხელმძღვანელობენ. პოლიტიკურ ვითარებაში მკვეთრი ცვლილება ხდება. ამის შედეგთა გათვალისწინება ჯერჯერობით არ შეიძლება, მაგრამ უეჭველია, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერ [illegible]".

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს ამხ. ლიტვინოვის განცხადებას ერთა ლიგის პლენუმზე ჩაურევლობის საკითხში სსრ კავშირის პოზიციის შესახებ და სწერს:

„თუ ბლუმი და იდენი გადაჭრით დაუჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ მიუხედავად ჰიტლერის და მუსოლინის პირველი სტრატეგიული უპირატესობისა, განსაკუთრებით უკანდახევისა ჰიტლერის მხრივ, რომელმაც დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ესპანელ ფაშისტთა მიმართ „ლეგიტიმური ზანგების" როლი [illegible]. კმარა გამოგონილი კომისიები, კმარა სიტყვები, ლამაზი ფრაზები, კმარა ცრუპენტელობა. სსრ კავშირი, ე. ი. 170 მილიონი ადამიანი, აღფრთოვანებული იმავე რწმენით, რომელიც ჩვენს ჯარისკაცებს ამოძრავებს,—სოციალიზმის რწმენით, აშკარად დგება ჩვენს მხარეზე. ნაკლებს არც მოველოდით, ხოლო მეტი ჩვენ არ გვჭირდება" (საქდს).

ინგლისი

ლონდონი, 9 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს, რომ ესპანეთის დოკუმენტთა გახსნის შემდეგ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში დარწმუნდნენ, რომ არსებობს მეტად ძლიერი საფუძველი შემოსულ საჩივართა გამოსაძიებლად და რომ მთელი რიგი საჩივარნი საკმაოდ დასაბუთებული და სერიოზულია. „ბერლინსა, რომსა და ლისაბონს,—ამთავრებს მიმომხილველი,—[illegible] რომ [illegible] უფრო გულმოდგინედ არ იქნება დაცული, მაშინ ინგლისის მთავრობას, შესაძლოა, მეტად გაუძნელდება შეთანხმების სერიოზულად მიჩნევა და რომ ინგლისის მთავრობა, შესაძლოა, თავის პოლიტიკას გადასინჯავს" (საქდს).

შვეიცარია

ჟენევა, 9 ოქტომბერი. „ჟურნალ დე ნასიონი" ეხება სსრ კავშირის განცხადებას ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხებზე და სწერს, რომ საბჭოთა მთავრობის ინიციატივას უკვე მოჰყვა ერთი უშუალო შედეგი, სახელდობრ: ლონდონის კომიტეტი, რომელიც [illegible] ესპანეთის მთავრობის „თეთრ წიგნს" და მსჯელობს, რომლებიც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთა ლიგის პლენუმზე გამოაქვეყნა, — უკვე [illegible] ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევის საკითხს და, შესაძლოა, დანიშნოს კომისია ამ საქმის გამოსაძიებლად. გაზეთი მოითხოვს, რათა კომიტეტმა უზრუნველყოს ჩაურევლობის პრინციპთა ნამდვილი გატარება ცხოვრებაში (საქდს).

საბჭოთა კავშირში

გემი „კუბანი" ესპანეთიდან წამოვიდა

ოდესა, 9 ოქტომბერი. გემ „კუბანის" კაპიტანის ამხ. ვისლობოკოვისაგან მიღებულია რადიოგრამა, რომელშიაც იგი იტყობინება, რომ გემმა ალიკანტეში გადმოტვირთა საკვები სანოვაგე ესპანეთის მუშებისა და ქალებისათვის, რის შემდეგ 8 ოქტომბერს 21 საათზე უკანვე გამოემგზავრა საბჭოთა კავშირისაკენ.

როგორც კაპიტანი იტყობინება, მთელი პროდუქტები მიტანილი და ჩაბარებულია კარგ მდგომარეობაში. გემის გადმოტვირთვისთანავე [illegible] დროის სწარმოებდა [illegible] ტრიუმფალური [illegible].

„კუბანის" გამომგზავრების დღეს გემზე მოვიდნენ ალიკანტეს მშრომელთა მრავალი დელეგაცია, ზავოდების კომიტეტების [illegible], ნავსადგურის მუშათა და მეზღვაურთა დელეგაციები. „კუბანს" აცილებდნენ აგრეთვე მადრიდის, ბარსელონის, ვალენსიის [illegible] ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გემს ესტუმრა ფრონტელთა დელეგაცია ალიკანტეს გუბერნატორის მეთაურობით. გუბერნატორმა მადლობა უძღვნა საბჭოთა დიდ ხალხს გაწეული დახმარებისათვის. (საქდს).

სასამართლოს განაჩენი ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის მონაწილეთა საქმეზე

აშხაბადი, 8 ოქტომბერი. თურქმენისტანის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ დაამთავრა აქტიურ თეთრგვარდიელთა — ბაქოს 26 კომისრის და ლენქორანის 7 ბოლშევიკის დახვრეტის მონაწილეთა — იაკუშინისა და ზიმნიცკის საქმის განხილვა.

როგორც უკვე გამოირკვა, იაკუშინი იყო დამსჯელი ესეულის უფროსი, შემდეგ კრასნოვოდსკის სადგურის კომენდანტი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბაქოს 26 კომისრის შეპყრობასა და დასახვრეტად გაგზავნაში. ზიმნიცკი იყო კრასნოვოდსკის სადგურის კომენდანტის უფროსი ადიუტანტი. იაკუშინი და ზიმნიცკი, როგორც კონტრდაზვერვის აგენტები, რომელნიც ინტერვენტებთან იყვნენ დაკავშირებული, 1919 წელს მონაწილეობას ღებულობდნენ ლენქორანის 7 ბოლშევიკის დახვრეტაში.

დღეს თურქმენისტანის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი. იაკუშინს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ზიმნიცკის — თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით (საქდს).

მიწახააკია გემი „ჩერნიშევსკი" დაყენებულია სარემონტოდ

არხანგელსკი, 9 ოქტომბერი. 8 ოქტომბერს № 6 ყინულისმჭრელმა [illegible] არხანგელსკში ბუქსირით მოიყვანა ყინულმჭრელი გემი „ჩერნიშევსკი", რომელიც შარშან ტრაგიკულად დაიღუპა მთელი ეკიპაჟით. [illegible] მძიმე პირობებში, [illegible] განსაკუთრებული [illegible] სამუშაოთა [illegible]. გემი ორი ნავიგაციის განმავლობაში ამოიღო წარმატებით [illegible] გემის [illegible] ექსპედიცია.

„ჩერნიშევსკი" სარემონტოდ დაყენებულია გემთსაშენი ქარხნის „კრასნაია კუზნიცა" ახალ ნავსადგურში (საქდს).

ლარგო კაბალიერო მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის ხალხს

მადრიდი, 8 ოქტომბერი. გაზეთი „კლარიდადი" იუწყება, რომ სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. როზენბერგმა ინახულა ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ლარგო კაბალიერო. გაზეთი სწერს:

„მთავრობის თავმჯდომარემ მადლობა და უდიდესი კმაყოფილება გამოსთქვა ესპანეთის ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლებისადმი სსრ კავშირის ხალხთა სოლიდარობის ახალი დემონსტრაციის გამო". (საქდს).

◇ ◇ ◇

მუშები იწონებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას

9 და 10 ოქტომბერს ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში და ბრიგადებში კოლექტიურად კითხულობდნენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის ამხ. კაგანის განცხადებას, ესპანეთის შინაურ საქმეებში ფაშისტური სახელმწიფოების (გერმანია, იტალია, პორტუგალია) ჩარევის შესახებ და აღნიშნავდნენ, რომ ეს მეტად დროულია და სავსებით გამოხატავს ჩვენი დიდი სამშობლოს 170 მილიონიანი მოსახლეობის მტკიცე სურვილს: დაეხმაროს ესპანეთის გმირ ხალხს, რომელსაც გასრესას უპირებს საერთაშორისო ფაშიზმი.

○

ტრამვაის მეურნეობის საამქროებში აღნიშნული განცხადების მასობრივად წაკითხვისას მუშები აცხადებდნენ, რომ მზად არიან ესპანეთის ხალხისათვის ეფექტური დახმარებისათვის.

— ესპანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლნო, არ შედრკეთ, — ამბობდნენ მუშები, — სულით და გულით თქვენთან ვართ და საშუალებას არ მივცემთ ფაშისტებს სისხლში ჩაახრჩონ ესპანეთის თავისუფლება!

○

კალინინის სახელობის ქარხანაში მუშები ამბობდნენ, რომ აღნიშნული განცხადებით საბჭოთა მთავრობამ მთელ მსოფლიოს დაანახვა გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის ფაშისტური მთავრობების მზაკვრობა.

— ჩვენ ერთხმად მივესალმებით, — ამბობდნენ ჯგუფური წაკითხვისას მუშები, — ამხანაგ კაგანის განცხადებას და აღვნიშნავთ რომ, საბჭოთა მთავრობამ ამ განცხადების გამოქვეყნებისას ყველას დაანახა თავის მშვიდობისმოყვარეობა.

○

თამბაქოს პირველ და მეორე ფაბრიკებში არ დარჩენილა არცერთი მუშა, რომ არ გამოეთქვა აზრი საბჭოთა მთავრობის ამ განცხადების შესახებ.

—მთელმა მსოფლიომ გაიგო გერმანიის, იტალიის და პორტუგალიის ფაშისტურ მთავრობათა ავაზაკური ამბავი. ისინი უტიფრად არღვევენ საერთაშორისო შეთანხმებებს და ფარულად ამარაგებენ ესპანეთის ხალხის სისხლისმსმელ ჯალათებს იარაღითა და ამუნიციით. მივესალმებით ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელმაც პირველმა აღიმაღლა ხმა ესპანეთის გმირი ხალხის სასარგებლოდ.

ტრამვაის, თამბაქოს ფაბრიკის და კალინინის ქარხნის მუშებმა გამოსთქვეს რა თავიანთი აზრი ამხ. კაგანის განცხადების შესახებ, მას დაუკავშირეს ახალი ვალდებულებანი:

— ჩვენ ვიმუშავებთ უკეთესად, წარმატებით შევასრულებთ გეგმებს და ამით კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძალასა და თავდაცვის უნარიანობას" — ლაპარაკობენ ისინი.

○

26 კომუნარის მანქანათსაამშენებლო ქარხნის მუშებმა აღშფოთება გამოსთქვეს საერთაშორისო ფაშიზმის მიმართ და მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის ნაბიჯს — უკანასკნელ გაფრთხილებას ფაშისტური ქვეყნების მთავრობებისადმი.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით რა საბჭოთა მთავრობის ამ ნაბიჯს, — ამბობდნენ მუშები, — ვაცხადებთ, რომ მზად ვართ უფრო ეფექტური დახმარება აღმოვუჩინოთ ესპანეთის ხალხს. დაე, იცოდნენ ფაშისტმა ჯალათებმა, რომ მსოფლიოში ესპანეთის ხალხს მეტი მეგობარი ჰყავს, ვიდრე ფაშიზმს, რომ თუ ფაშისტებმა ხელი არ აიღეს ესპანელი ხალხის ჯალათებისათვის ფარული დახმარების გაწევაზე, მაშინ მათ თავს დაატყდებათ მთელი მსოფლიოს მშრომელთა რისხვა.

○

ტფილისის საორთქლმავლო დეპოში საბჭოთა მთავრობის განცხადების წაკითხვის შემდეგ მუშებმა გადასწყვიტეს გააძლიერონ ესპანეთის ხალხისათვის დახმარების შეგროვება. საბჭოთა მთავრობის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ დეპოს მუშებმა შეაგროვეს 1.500 მანეთამდე თანხა ესპანეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა დასახმარებლად.

— ჩვენ ვაგროვებთ თანხებს ესპანელი ძმებისათვის, რათა მათ ამ სახსრებით შეიძინონ სურსათი და სხვა საჭირო საგნები, რათა გაანადგურონ ფაშისტთა შეიარაღებული ჯალათები.

○

საბჭოთა მთავრობის განცხადების მასობრივი წაკითხვა მოეწყო აგრეთვე [illegible] **ქარხანაში, მაუდის ფაბრიკაში, ფეხსაცმლის ფაბრიკაში** და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. მუშები ყველგან ერთსულოვნად იწონებდნენ ამ განცხადებას და მიესალმებოდნენ საბჭოთა მთავრობის ნაბიჯს.

◇ ◇ ◇

კანონიერი მთავრობის დეკრეტები

მადრიდი, 8 ოქტომბერი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა დეკრეტი იმ პირთა კუთვნილი მამულების ნაციონალიზაციის შესახებ, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობენ ამბოხებაში.

მეორე დეკრეტი უფლებას აძლევს განათლების მინისტრს გაადიდოს სკოლებში მასწავლებელთა შტატები 5.300 კაცით. (საქდს).

◇ ◇ ◇

„დავიხოცებით. მაგრამ უკან არ დავიხევთ"

ლონდონი, 9 ოქტომბერი. მადრიდის დაცვის კომიტეტმა გუშინ გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია:

„დადგა დრო დისციპლინისა და ერთიანი მოქმედებისათვის. ჩვენი ქალაქის სულ მცირეოდენი ნაწილიც არ უნდა იკარგებოდეს უქმად. ლოზუნგი „ჩვენ მათ აქ არ შემოვუშვებთ" უნდა შეიცვალოს ლოზუნგით „დავიხოცებით, მაგრამ უკან არ დავიხევთ". (საქდს)

◇ ◇ ◇

„სასიკვდილო ლახვარი მატყუარობას ჩაურევლობის მიმართ"

კომენტარიები სსრ კავშირის განცხადებისა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

მადრიდი, 9 ოქტომბერი. ესპანეთის პრესა კვლავ ფართო კომენტარიებს უძღვნის სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადებას, რომელიც ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეს გადაეცა. ყველა იმ აზრისაა, რომ საბჭოთა მთავრობის გამოსვლა ბოლოს უღებს ჩაურევლობის ფარსს და გზას უკაფავს ჩაურევლობის შეთანხმების გადასინჯვას.

საბჭოთა კავშირის განცხადებისადმი მიძღვნილი მოწინავე სტატიები აღტაცებას გამოსთქვამენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკით. გაზეთი „პოლიტიკა" სსრ კავშირის განცხადებას უწოდებს „სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას ჩაურევლობის მიმართ მატყუარობისათვის". გაზეთი სწერს, რომ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა საერთაშორისო კომიტეტის მთელ საქმიანობას ეძლეოდა იურიდიული საპროცედურო ტრიუკების სახე, რომელთა მეოხებითაც ფაშისტურ სახელმწიფოებს შეეძლოთ დაუსჯელად განეგრძოთ იარაღის გზავნა ესპანელ მეამბოხეთათვის. „მაგრამ, — განაგრძობს გაზეთი,— სსრ კავშირის კეთილშობილურმა და ვაჟკაცურმა საქციელმა გააცამტვერა ასეთი მანევრები... ესპანეთი უმწეო არ დარჩება".

„ელ სოციალისტა" მოწინავეში სწერს. „საბჭოთა კავშირის ნოტამ, რომელიც ლონდონის კომიტეტს გადაეცა, ნამდვილი სიხარული გამოიწვია ჩვენში. ეს არის ენერგიული და გარკვეული დიპლომატიური დოკუმენტი. სსრ კავშირი იცავს თავის ხელმოწერას იმდენად, რამდენადაც ის სახელმწიფოები, რომლებმაც მასთან ერთად მოაწერეს ხელი შეთანხმებას, ასევე იქცევიან. სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადება დროულად ხდის ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების მოლიანად გადასინჯვას. ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს ვფიქრობდეთ, რომ თუ გადასინჯვა მოხდა, ჩვენ იგი ზიანს არ მოგვიტანს, ვინაიდან ჩვენ ვითვალისწინებთ სსრ კავშირის როლს. ჩვენ სიხარულით, გულწრფელი სიხარულით მივესალმებით სსრ კავშირის პოზიციას. მისი მრავალმხრივი განცხადება ნათელ შუქს ჰფენს თავის გარშემო და ამავე დროს წარმოადგენს ესპანეთისადმი მისი მეგობრობის მაღალ დამამტკიცებელ საბუთს. მაშ მადლობა ვუძღვნათ მას".

„ელ ლიბერალი" სწერს:

„საჭირო იყო, რომ საბჭოთა დიდ დემოკრატიას, უკვე რუსეთს, რომელმაც შესძლო ცარიზმის უღლის გადაგდება, გადაეგდო ტრადიციული დიპლომატიის ძველი ფორმულები, რათა სხვა [illegible] დემოკრატიებს გაებედათ თავიანთი სირაქლემისებრი პოზიციებიდან გამოსვლა. [illegible] და ამ შემთხვევაში იგი გამოაცხადა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც მთელი მსოფლიოს წინაშე კეთილშობილურად და აშკარად განაცხადა, რომ მას არა აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს ტრაგიკულ ფარსში შიშით ნაკარნახევი შეთანხმების გარშემო" (საქდს).

◇ ◇ ◇

უცხოეთის ქრონიკა

○ ოსლოს (ნორვეგია) ნაციონალურმა თეატრმა მიმდინარე წლის დასადგმელად მიიღო პოგოდინის პიესა „არისტოკრატები".

○ ლონდონის ავტობუსთა 1.500 მუშა-მოსამსახურე გაიფიცა ახალი გრაფიკის წინააღმდეგ, რომელიც მათ აუტანელ პირობებს უქმნის.

○ ისლანდიის დასავლეთით საფრანგეთის საოკეანო გემებმა გადაარჩინეს მფრინავი ბრიკალი, რომელიც აპირებდა გადაფრენას ატლანტის ოკეანეზე და იძულებით დაშვება მოუხდა.

○ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი, რომელიც მონტე-კარლოში იმყოფება, განზრახული აქვს ლონდონში დაბრუნებისას პარიზში შეუვლის ბლუმს.

○ ფაშისტ მეამბოხეთა თვითმფრინავებმა არანხუესთან ყუმბარები დაუშინეს შოტლანდიის წითელი ჯვრის შესახვევ პუნქტს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში

საშემოდგომო თესვა და მძრალად ხვნა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 7 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა 1 ოქტომბრისათვის საშემოდგომო თესვის და მძრალად ხვნის მიმდინარეობა და სცნო იგი არადამაკმაყოფილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ თესვის დამთავრების ვადა ახლოვდება, — ლუქსემბურგის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, თელავის, ბორჯომის, ონის, ცაგერის, ადიგენის, ასპინძის და წალკის რაიონებს არ ჰქონდათ საშემოდგომო თესვა დაწყებული. ბოგდანოვკის რაიონს თესვის გეგმა შესრულებული აქვს 1,8 პროცენტით. ახალქალაქისას კი—36,7 პროცენტით. ეს იმ დროს, როცა ამ ორი რაიონისათვის თესვის დამთავრების ვადად დაწესებულია 5 ოქტომბერი.

თესვის გეგმის ვადაზე შესრულება ჩაშლის საფრთხის წინაშეა საშემოდგომო კულტურების თესვის ისეთ ძირითად რაიონებში, როგორიცაა: გურჯაანი (გეგმა შესრულებულია 1,5 პროცენტით), ყვარელი (0,5 პროც.), ლაგოდეხი (0,5 პროც.), ბორჩალო (0,3 პროც.), ტფილისი (2,9 პროც.), ხაშური (4,2 პროც.), გორი (19,4 პროც.) კასპი (8 პროც.).

პირველი ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვისათვის მოხნული იყო (ანეულის ჩათვლით) 114 ათასი ჰექტარი, ანუ საშემოდგომო სათესი ფართობის (239.830 ჰექტარი) 48 პროცენტი.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტ. კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს იმ გადაწყვეტილების შესრულებას, რომელიც შეეხება საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმას, სავალდებულო აგროტექნიკური ვადების დაცვას.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სათესლე მასალის შეგროვება, ვადა კი (15 სექტემბერი) გასულია. პირველ ოქტომბრისათვის შეგროვილი იყო გეგმის 84,4 პროცენტი.

სათესლე ფონდების შეგროვებაში დიდად ჩამორჩნენ თიანეთის (გეგმა შესრულებული აქვს 32,2 პროც.), ლუქსემბურგის, (46,5 პროც.), და ბორჩალოს (49,4 პროც.) რაიონები.

ასევე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საშემოდგომო თესვის მომარაგება მაღალხარისხოვანი სათესლე მასალით. კოლმეურნეობებში ხარისხოვანი სათესლე მასალის შეგროვების გეგმა შესრულებულია 65,5 პროცენტით.

ცუდად არის მოწყობილი გადასაცვლელი თესლის გამოზიდვა „ზაგოტზერნოს“ და სახკიმფონდის პუნქტებიდან. მაგალითად, ლუქსემბურგის რაიონს 2 ოქტომბრისათვის „ზაგოტზერნოს“ სანდარის პუნქტიდან არ ჰქონდა გამოტანილი 1000 ცენტნერი სათესლე ხორბალი.

ზოგიერთმა რაიონმა ცუდად ჩაატარა სათესლე ხორბლის გაწმენდა. თესლის გაწმენდის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 62,6 პროცენტით.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე თესლის აღმოცენების უნარიანობის შემოწმება. ამ მხრივ გეგმის შესრულება 30 პროცენტს გვაძლევს. ბოგდანოვკის რაიონი შეუმოწმებელი თესლით შეუდგა თესვას.

რაიონულმა ორგანიზაციებმა დაუშვებელი შეუფასებლობა გამოიჩინეს საკვები ბალახების თესვის საქმეში. ყარაიას რაიონმა საკვები ბალახების თესვის გეგმის შესრულება თვითნებურად გადასდო გაზაფხულისათვის, მიუხედავად იმისა, რომ რაიონი თესლით უზრუნველყოფილია.

ძლიერ ჩამორჩა აგრეთვე მძრალად ხვნა. პირველ ოქტომბრისათვის მძრალად მოხნული იყო 22.784 ჰექტარი—გეგმის მხოლოდ 8,7 პროცენტი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომ-მა აღნიშნა, რომ საშემოდგომო თესვისა და მძრალად ხვნის სამუშაოთა ასეთი მდგომარეობა წარმოადგენს რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მიწსახკომის, პირველ რიგში მისი მარცვლეულის სამმართველოს, და მტს-ების ცუდი მუშაობის შედეგს.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ბიურომ დაავალა სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს და ცაკს, საქ. კ. პ. (ბ) რაიკომებს და რაიაღმასკომებს განიხილონ საშემოდგომო თესვისა და მძრალად ხვნის მიმდინარეობა (ცალკეულ სასოფლო საბჭოების, სოფლების და კოლმეურნეობის მიხედვით, შეიმუშაონ და გაატარონ ღონისძიებანი, რათა აუცილებლად უზრუნველყონ თესვისა და მძრალად ხვნის დაწესებულ ვადაზე დამთავრება აგროწესების მტკიცედ დაცვით.

„ზაგოტზერნოს“ დაევალა 3 დღის ვადაში უზრუნველყოს სათესი ხორბლეულის გაწმენდის დამთავრება დაწესებული კონდიციების მიხედვით.

საქ. მიწსახკომს დავალებული აქვს უზრუნველყოს მტს-ები სხვადასხვა მასალითა და ფულის შეუფერხებლად მიწოდებით.

სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს და აღნიშნული რაიონების პარტრაიკომებს დაევალათ გაატარონ ყველა ღონისძიება ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით სათესლე მასალის გაწმენდისა და შეწამვლის დასაჩქარებლად, მოიყვანონ თესლი კონდიციურ მდგომარეობაში და უზრუნველყონ თესვის გეგმის ვადაზე შესრულება.

მიწსახკომს დაევალა გაგზავნოს აღნიშნულ რაიონებში თავისი სპეციალისტები ადგილებისათვის დახმარების გასაწევად.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გააფრთხილა პარტრაიკომის მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარეები და მტს-ების დირექტორები, რომ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების შესახებ ამხ. ლ. ბერიას მიერ მოცემული მითითების შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საშემოდგომო თესვის დროზე და ხარისხოვნად ჩატარებას.

◇

სპეციალისტები სოფელს

თათბირი სახკომსაბჭოში

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე ამხ. ლ. ბერიამ ყურადღება გაამახვილა სოფლად არსებულ აგრო და ზოოვეტუბნების სათანადო კადრებით გამაგრების საჭიროებაზე. ამხ. ლ. ბერიას ამ საბრძოლო მოწოდებათა განსახორციელებლად საქ. სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით რაიონებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ იგზავნება ტფილისის სხვადასხვა აპარატში მომუშავე 86 სპეციალისტი (აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი).

გუშინ, საღამოს, სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში შესდგა სოფლად მიმავალ სპეციალისტთა თათბირი საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ილუშინის თავმჯდომარეობით.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ბ. ცვარამია. მან თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმას, რომ სპეციალისტები იგზავნებიან ფრიად მნიშვნელოვან სამუშაოზე. მათ უნდა გაანალიზონ ამხ. ლ. ბერიას მითითება და არა მარტო აგრომომსახურება გაუწიონ კოლმეურნეობებს, არამედ საქმით უნდა გახდნენ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორებიც.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ: აგრ. შელია, ვეტექიმი ბახუტაშვილი, აგრ. გორდაძე, ზოოტექნიკოსი ბარამაშვილი და აგრ. ვათოლოვი. გამოსულმა სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ისინი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამხ. ლ. ბერიას მოწოდებას აპარატში მომუშავე სპეციალისტთა ნაწილის სოფლად გაგზავნის შესახებ. მათ განაცხადეს, რომ ბეჯითი მუშაობით გაამართლებენ იმ ნდობას, მზრუნველობას, რომელსაც პარტია, ხელისუფლება და პირადად ამხ. ლ. ბერია იჩენს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართ და სიტყვას იძლევიან, რომ იბრძოლებენ იმ მითითებათა განსახორციელებლად, რომელიც ამხ. ლ. ბერიამ დაუსახა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე.

ამხ. ილუშინმა თათბირის შეჯამებისას ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომელნიც სოფლად მიმავალ სპეციალისტთა წინაშე დგას. სპეციალისტთა მუშაობა სოფლად, — განაცხადა ამხ. ილუშინმა მაშინ გამოიღებს უდიდეს ნაყოფს, როცა ისინი მტკიცედ გაატარებენ ცხოვრებაში ამხ. ლ. ბერიას მითითებას, რომ აგროუბნებზე მომუშავე სპეციალისტები უნდა ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მომსახურებას უწევენ ეს სპეციალისტები. სოფლად მომუშავე აგრონომმა უნდა მიიღოს კულტურული სახე და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, იმუშაოს თავის თავზე, საფუძვლიანად დაეუფლოს აგროტექნიკას.

○ ○ ○

მოწინავეთა შეკრება შამპანურის ძირითად რაიონში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

„საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სუფრას შევამკობთ კარგი სუფრის ღვინო და შამპანური, ყურძნის კარგი პროდუქცია, ერთიანად გავადიდოთ ყურძნის მოსავალი, [illegible] წარმოადგენს საქართველოს კოლმეურნეობათა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის“, — დიდი სტალინის [illegible] მოწაფის, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას ეს სიტყვები დიდი ასოებით [illegible] ორჯონიკიძის რაიონის მუშათა კლუბის ფასადზე, სადაც მოწვეულია მევენახე კოლმეურნეთა შეკრება. სადაც თავი მოუყრიათ ვაზის ენთუზიასტებს, სტახანოველებს.

ამ რაიონის ძირითადი წამყვანი დარგი მევენახეობაა—ვაზი გაშენებულია რაიონის 61 კოლმეურნეობაში—სულ 1.464 ჰექტარზე და მოსავლის 80 პროცენტს შამპანურის მაღალხარისხოვანი ჯიში [illegible] შეადგენს. [illegible] შამპანურის სხვა ჯიშებიც. [illegible] 1940 წლამდე [illegible] გაშენდება შამპანურის ჯიშები 780 ჰექტარზე, [illegible] 436-ზე, [illegible] რაიონი შამპანურის ვაზის ჯიშთა გაშენებით საქართველოში პირველ ადგილზე დგას.

შეკრებამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა პარტრაიკომის მდივნის ამხ. [illegible] შესავალი სიტყვა და მიწგანის ხელმძღვანელის ამხ. ტ. მაღრაძის მოხსენება. კამათში გამოვიდა მიწსახკომის [illegible] სამმართველოს აგრონომი ამხ. [illegible], სამტრესტის შამპანურის სპეციალისტი ამხ. [illegible]შვილი, 20 კოლმეურნე სტახანოველი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე და მიწგანის უფროსის მოადგილე.

[illegible] კოლმეურნეებმა [illegible] პარტიისა და ხელისუფლების ყურადღება და დახმარება: [illegible] ჰექტარზე 60 ცენტნერზე მეტი შამპანური ყურძნის მოსავალი, [illegible] 70 პროცენტით პირველი ხარისხის [illegible].

შეკრებამ მიიღო [illegible] მიმართვა ამხ. ლ. ბერიას.

დისპუტი „მთვარის მოტაცებაზე“

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა მწერალთა სასახლეში გამართა დისპუტი კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „მთვარის მოტაცების“ შესახებ.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანმა ამხ. ბ. ჟღენტმა თავის ვრცელ მოხსენებაში დაწვრილებით გაარჩია „მთვარის მოტაცება“ როგორც დიდი ლიტერატურული ღირებულება, ისე მთელი რიგი დამახინჯებები და სუსტი მხარეები. ამხ. ბ. ჟღენტი შეეცადა გაერკვია, თუ რას წარმოადგენს ეს რომანი თვით მწერლის კონსტ. გამსახურდიას შემოქმედებითი ევოლუციის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, რას წარმოადგენს როგორც საერთოდ ლიტერატურული ნაწარმოები, სოციალისტური მშენებლობის ასახველი.

— კ. გამსახურდია, როგორც მწერალი — განაცხადა ამხ. ბ. ჟღენტმა, — ჩამოყალიბდა რევოლუციურ ეპოქაში, მაგრამ ის არ ყოფილა რევოლუციური იდეების მომღერალი. პირიქით, იგი იყო რეაქციული კლასების ნარჩენების განწყობილების [illegible]. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკა, საბჭოთა მწერლების კოლექტივი გამუდმებით ებრძოდა კ. გამსახურდიას [illegible] იდეურ პოზიციებს. უკანასკნელ წლებში კ. გამსახურდიამ მოგვცა მთელი რიგი ცდები — [illegible] თემებზე („გვიდეს ცხოვრების რომანი“); მან სცადა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ასახვაც („უბრალოს თემიდი“), ნაყოფიერად იმუშავა მთარგმნელობით ([illegible]), მაგრამ თავისთავად ცხადია ამ ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით კ. გამსახურდიას იდეური გადაიარაღებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

მომხსენებლის აზრით რომანი „მთვარის მოტაცება“ უფრო განვითარებული ეტაპია, როგორც საგრძნობი და თვალსაჩინო ძვრა ავტორისა ძველი რეაქციული შემოქმედებითი პოზიციებიდან საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებისაკენ.

— აღსანიშნავია, რომ კ. გამსახურდიამ ჩვენი სინამდვილის ასახვის ცდა მოახდინა აქტუალურ მასალაზე მუშაობით. რომანში ავტორი ცდილობს მოგვცეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი, ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რადგან კ. გამსახურდია იყო ავტორი [illegible] თეორიისა და მთელი რიგი წლების განმავლობაში [illegible], რომ საბჭოთა, სოციალისტური სინამდვილის ასახვისათვის [illegible] დისტანცია. ამ თეორიით ის ფაქტიურად უარს ამბობდა თანამედროვე მასალის დამუშავებაზე. კ. გამსახურდიამ თავისი რომანის სიუჟეტი გამოიტანა [illegible] ფონზე. კ. გამსახურდიას რომანში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ასახვის ცდას. რომანის ერთერთ გმირს კომკავშირელი არზაყან ზვამბაია წარმოადგენს, რომელიც დაპირდაპირებულია სოფლის კულაკურ ფენასთან. [illegible] გადმოცემაში [illegible] ახალი ადამიანების სახეც (ჩალმაზი, ლიზიკო). მეორე მხრივ ავტორი ცდილობს აჩვენოს ძველი ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლების განწირული სახეები. რომანის მთავარი გმირი თარაშ ემხვარი, [illegible] და სხვა პერსონაჟები ჩვენს სინამდვილეში [illegible] არიან ნაჩვენები, მაგრამ მწერალმა ვერ მოახერხა ამ დაპირდაპირებულ ძალთა ბრძოლის ნამდვილი, სწორი, [illegible] სურათის მოცემა. კ. გამსახურდიამ ვერ მოიპოვა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი; ის არ დგას ბოლომდის სწორ, საბჭოთა მწერლისათვის სავალდებულო მსოფლმხედველობის ნიადაგზე. ამიტომ კ. გამსახურდიას რომანში ჩვენ ვერ მივიღეთ სოციალისტური სინამდვილის სწორი გამოხატულება.

— რევოლუციის და ახალი სამყაროს დაბადების პროცესში, კ. გამსახურდიამ ვერ [illegible] ჩვენი ცხოვრების [illegible] სწორი სურათი. ამიტომ ეს რომანი ვერ გადაიქცა ჩვენი ცხოვრების გამომხატველ ნამდვილ ეპოსად. მიუხედავად ამისა, „მთვარის მოტაცებას“ [illegible] ლიტერატურული ღირებულება აქვს. კ. გამსახურდიას რომანში ჩვენ გვაქვს მხატვრულის თვალსაზრისით მეტად ზედმიწევნით შესრულებული აღწერები, ცალკე ეპიზოდები და სცენები, [illegible] მოცემული [illegible] თავად-აზნაურული სახეები. „მთვარის მოტაცება“ უპირველესად ყოვლისა, კ. გამსახურდიას იდეური მობრუნების ცდის მაუწყებელია.

დასასრულ ბ. ჟღენტი შეეხო კ. გამსახურდიას სტილს, მხატვრულ სახეებს და შედარებებზე, გაარჩია რომანის ენობრივი მხარე და სხვა.

ბ. ჟღენტის მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიმართა რომელიც 4 დღეს გასტანა.

ბ.

[illegible] საშუალო სკოლის ახალი შენობა ლენინის რაიონში (ტფილისი). ფოტო სტილიაროვისა (სოიუზფოტო)

აკადემიკოსი რიხტერი ტფილისში

9 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი მეცნიერ-ფიზიოლოგი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აკადემიის წევრი, ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წევრი და მცენარეთა ფიზიოლოგიის მოსკოვის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ა. რიხტერი. მისი ჩამოსვლის მიზანია ტფილისის ბოტანიკური ბაღის მუშაობის გაცნობა.

— საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული [illegible], — განაცხადა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში აკადემიკოსმა ა. რიხტერმა, — [illegible] ციტრუსოვანი კულტურები. [illegible] შეუწყობია ეპყვა. ციტრუსოვანთა მეცნიერული შესწავლისათვის გაშლილი სამუშაოები [illegible]. აქ ამჟამად არის ორი სამეცნიერო ბრიგადა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ციტრუსოვანთა და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა (ქაფურის ხე, ტუნგი, ჩაი და სხვ.) [illegible] საკითხებზე. ახლო ხანში დაიწყება მუშაობა ციტრუსოვანთა ნაყოფის მომწიფების დაჩქარების მიზნით. ცნობილია, რომ მთელ რიგ რაიონებში ციტრუსოვანთა ნაყოფის დამწიფება ხშირად ჭიანურდება, ამინდისა და სხვა შემთხვევითი მიზეზებით. თუ გამოვნახავთ იმის საშუალებას, რომ ნაყოფის მომწიფების დაჩქარება შეიძლებოდეს ([illegible] მეთოდებით), მაშინ გადაწყვეტილი იქნება ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდების პრობლემა.

◇

ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ

ამ ბოლო დროს საქართველოს მილიციის ორგანოებმა სპეკულაციისა და ბაზრობაზე ვაჭრობის წესების დარღვევისათვის შეიპყრეს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მთელი რიგი სპეკულანტები. ორი თვის განმავლობაში—პირველი აგვისტოდან პირველ ოქტომბრამდე—დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემულია 303 კაცი.

სპეკულანტთა საქმიანობა უმთავრესად გამოიხატება მათ მიერ სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებში შეძენილი სხვადასხვა სამრეწველო საქონლის გადიდებულ ფასებში გადაყიდვით, ამასთანავე [illegible] სპეკულანტების ობიექტს შეადგენს [illegible], ფეხსაცმელი, შეკერილი ტანსაცმელი, რეზინის, [illegible] პროდუქტები, მეტისლოთონიდ ოქროს ფული, ვალიუტა, საშენი მასალები და სხვ.

ორი თვის განმავლობაში სპეკულანტებს ჩამოერთვათ დიდძალი საქონელი, რომელთა შორის იყო: 1447 მეტრი მანუფაქტურა, 1237 საგალანტერიო საგანი, 300 კილო საწერი ქაღალდი, 516 კილო ლურსმანი 110 წყვილი ფეხსაცმელი, 290 [illegible] შეკერილი ტანსაცმელი, 160 მანეთი მეფის დროის ოქროს ფული 303 მანეთი საბჭოთა ხელისუფლების დროის [illegible] ფული და მთელი რიგი სხვა საგნები. გარდა ამისა, სპეკულანტებს ჩამოერთვა და სახელმწიფო ორგანიზაციებს გადაეცა დიდძალი პროდუქტები, რომელთა შორის იყო 7000 [illegible], [illegible] და სხვა პროდუქტები.

უმრავლეს შემთხვევაში სახალხო სასამართლოებს სპეკულანტების წინააღმდეგ მკაცრი განაჩენი გამოაქვთ. მაგალითად, სპეკულანტ [illegible] მისჯილი აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სპეკულანტ [illegible] 7 წლით, სპეკულანტ [illegible] 8 წლით, სპეკულანტ-[illegible] მიუსაჯეს [illegible] ათი წლით, სპეკულანტთა საქმის გამოძიება გრძელდება.

ახალი ამბები

#დამთავრდა გორის ვაგზლის კეთილმოწყობა. ვაგზლის შენობას დაემატა ახალი სართული, რომელშიაც მოწყობილია დედათა და ბავშვთა ოთახი. ვაგზალში მოწყობილია სანიმუშო ბუფეტი, საპარიკმახერო, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კიოსკი. მოედანი ვაგზლის წინ მოასფალტებული და გამწვანებულია.

#ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის ქუთაისის მუშათა თეატრი სეზონს ხსნის 15 ოქტომბერს ლავრენევის პიესით „რღვევა“.

#საქართველოს პროფსაბჭომ საკავშირო პროფსაბჭოს წინაშე აღძრა საკითხი ტფილისში ახალი სტადიონის — „მშენებელის“ აგების ნებართვის შესახებ. სტადიონის წინასწარი სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 200.000 მანეთი მიმდინარე წლის ბოლომდე.

#ტფილისის მუშათა კლუბები საზამთრო სეზონს იწყებენ 15 ოქტომბრიდან. საზამთრო მუშაობის პროგრამები კლუბებმა უნდა დაამუშაონ მუშათა აქტივთან შეთანხმებით.

◇

ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად

ხაშურის ქარხნის მუშებმა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში გადარიცხეს ორი დღის ხელფასი — 860 მანეთი.

○

მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს მასწავლებლებმა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად გორის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის რაიკომს გადასცეს 300 მანეთი.

○

ტფილისის №273 საბინაო ამხანაგობის სახლებში მცხოვრებმა ბავშვებმა: [illegible], ნინო და [illegible], კ. [illegible], ო. [illegible], ნ. [illegible], კ. [illegible], ც. [illegible], დ. [illegible] და მ. [illegible] ესპანეთის ბავშვთა დასახმარებლად გადასცეს 15 მანეთი.

○

ჩემი დახმარება ესპანელ ბავშვებს

მამაჩემმა მომცა 7 მანეთი სათამაშოების შესაძენად. ამ შვიდი მანეთიდან 5 მანეთი შემაქვს ესპანეთის ბავშვების დახმარების ფონდში და მოვუწოდებ ყველა ბავშვს დახმარება აღმოუჩინონ ესპანელ ბავშვებს.

მე-58 სკოლის მოწაფე ოქტომბრელი ბიჭიკო ხუნდაძე

სასამართლო

დამსახურებული სასჯელი

ბინდდებოდა. მრავალვაგონიანი [illegible] ორთქლმავალი [illegible] შეუჩერებლივ მიემართებოდა [illegible]გელისაკენ.

სადგურ მეტეხში პატარა ხნით შეჩერების შემდეგ იგი ადგილიდან დაიძრა თუ არა, მემანქანემ შენიშნა, რომ ორთქლმავალზე ვიღაცა უცნობი ავიდა.

— აქ გაჩერება არ შეიძლება, ამხანაგო, ჩადით! უთხრა მან. ისართან მატარებლის სვლა შეანელა და უცხო პიროვნება რის ვაივაგლახით ძირს გადმოსვა.

[illegible] სიფხიზლე. შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ბანდა [illegible] გასატაცებლად არის დარაზმული. კარგი ხანია გეგმა მზადა აქვთ.

და აი ამოიხვნეშა თუ არა ხელახლა ორთქლმავალმა, [illegible] კაცი კვლავ ზედ ამხტა.

იგი ახლა მემანქანის თანაშემწემ შენიშნა. [illegible] მაგრამ საპასუხოდ უეცრად გავარდა და მოვარდა მოისმა. ხმაურობა მემანქანე გორისაშვილს შეესმა.

[illegible], ამ კიდევ ამოიხვნეშა, ხომ უთხარით, ორთქლმავალზე მგზავრობა არ შეიძლება, ჰკითხეთ, რა უნდა? — ამის თქმაზე მას [illegible] თვალებმა შეანათა, წამში უცნობმა იარაღი მოიმარჯვა და რევოლვერის ტყვიამ მემანქანე, იქვე, ორთქლმავლის კაბინაში ჩაკლა.

თანაშემწე ორთქლმავლის საყვირს ეცა და საშინელი განგაში ატეხა. ბოროტმოქმედი დაფრთხა, იგრძნო, რომ ველარას გახდებოდა და მატარებლიდან ისკუპა. მას ორი კიდევ სხვანი მიჰყვნენ, და [illegible] სამეულმა დასაბამლავად ტყისკენ მოჰკურცხლა.

მძიმედ დაჭრილი მემანქანე მალე გარდაიცვალა.

გორიჯი დავითის-ძე კობიაშვილი სოფელ ახალშენის მცხოვრებია (გურჯაანის რაიონი). სოფელი მას ხელიგანად და ქურდად იცნობს და მართალიც ამისათვის [illegible] დასჯილი [illegible].

[illegible] ლაშაური „სახელოვანი [illegible]“, დიდების [illegible]. მისი ანტისაბჭოთა ელემენტობა [illegible], მაგრამ [illegible].

[illegible] „შეგირდები“ [illegible] — ხელიგნობა, [illegible] ცხენების ქურდობა, [illegible] სახლების ძარცვა, [illegible] კარი არ შეიწყალეს. [illegible] „მზვარი“, „საქმარი“ საქმე — [illegible] გაძარცვა. [illegible] გზებზე: [illegible] მინდორში, სუსხიან [illegible] საღამოს, ამა ვინ [illegible] გარეთ, მატარებლის [illegible] მახლობლად.

სურული ნიკოლოზ [illegible] კობიაშვილსაც [illegible] ჯერ [illegible] იგი, მაგრამ [illegible] თანხმობა განუცხადა...

წინასწარ შემუშავებული გეგმით, როგორც ზევით ვთქვით, მატარებელს დაიცვენ. მართალია, იგი ვერ გაძარცვეს, მაგრამ [illegible] მემანქანის განგმირვა მოასწრეს.

ამ ორიოდე დღის წინ ა.-კ. რკინიგზის სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ, ამხ. ნ. კოგისაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ [illegible] მონაწილეობით, სადგურ გურჯაანში საჩვენებელი პროცესით გაარჩია ხსენებული ბანდიტების საქმე.

თანახმად სსკ. 58-17 მუხლისა, ბანდის ორგანიზატორს გიორგი კობიაშვილს და მემანქანის მკვლელს ვასილ ლაშაურს მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა მთელი პირადი ქონების კონფისკაციით. ნიკოლოზ კობიაშვილს კი შვიდი წლით პატიმრობა შორეულ ბანაკებში მოთავსებით, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლება ორი წლის ვადით ჩამოერთვა.

შ. ბ.

◇

ავტოგადარბენა აირწინაღებით

სახალხო თავდაცვისათვის მზადება ტფილისში წარმატებით მიმდინარეობს. რაიონებში აწყობენ სასწავლო გასვლებს, ლაშქრობებს, „თავდასხმებს“ და სხვ.

ლენინის რაიონში მოეწყო ავტოგადარბენა აირწინაღებით რაიონიდან მცხეთაში და უკან. გადარბენაში მონაწილეობას ღებულობდა 9 ავტომობილი, რომლებზედაც 40 კაცი იყო მოთავსებული. გადარბენის მონაწილეებმა აირწინაღებში დაჰყვეს 52 წუთი, აქედან 40 წუთზე მეტი გზაში.

გადარბენა დაუბრკოლებლივ დამთავრდა. გადარბენის მონაწილეებმა წარმატებით შეასრულეს დაკისრებული სამხედრო-ტაქტიკური ამოცანა.

◇

კრებები

დღეს, საღამოს რვა საათზე მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის 13) შესდგება პოეტების სექციის მორიგი საღამო. მოხსენებას წაიკითხავს პროფ. შ. ნუცუბიძე თემაზე: „რუსთაველი და დანტე“. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ნეკროლოგი

გორდისი ხომერიკი

[illegible] ახალგაზრდა [illegible] საქმეს, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით კარგად შეიარაღებული, — ყოველთვის დაუღალავი, უდიდესი გატაცებით და ენთუზიაზმით სხვა ამხანაგებთან ერთად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ის მაგალითის მიმცემი იყო სხვებისათვის, თავის თაობის ახალგაზრდა ბოლშევიკებისათვის.

მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა ჩამოგვაშორა ეს იშვიათი ადამიანი, მეგობარი და ამხანაგი, რომლის ძვირფასი ხსოვნა, მისი ამხანაგების გულში, არასოდეს არ წაიშლება.

ანდრო დოლიძე, კოწია ხომერიკი, სერგო მეჩრელიშვილი, სიმონ მოდებაძე.

◇

ფეხბურთი

„ლოკომოტივი“ (ტფილისი)— „დინამო“ (ხარკოვი) 6:1.

9 ოქტომბერს შესდგა საკავშირო პირველობის („ბ“ ჯგუფის) მორიგი მატჩი ტფილისის „ლოკომოტივსა“ და ხარკოვის „დინამოს“ შორის. „ლოკომოტივმა“, რომელიც იმავე შემადგენლობით თამაშობდა, როგორც წინანდელ მატჩში „მშენებლებთან“, თავიდანვე ხელთ იგდო და ბოლომდე შეინარჩუნა ინიციატივა. პირველ ტაიმში, რომლის დროსაც „ლოკომოტივს“ ქარი უშლიდა, მან 2:1 მოიგო. ხარკოვმა თავისი ერთადერთი გოლი ტფილისის მცველის [illegible] გაიტანა. მეორე ტაიმში კი ტფილისელებმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს და ამრიგად მატჩი 6:1-ით მოიგეს.

„ლოკომოტივის“ მარჯვენა შემტევმა ჩერნიჩენკომ „სნაიპერის“ სახელწოდება მოიპოვა — მან 5 ბურთი შეაგდო. [illegible] ლენინგრადელი მსაჯი [illegible], რომელმაც [illegible] მთლიად მიუშვა. [illegible], რომ [illegible] საზოგადოდ [illegible] თამაშობს, ხარკოველების [illegible] ერთ მოწინააღმდეგეთან [illegible] ტფილისელი [illegible] შეხვედრებში.

დ. ვ.

◇

ხელოვნება

სახელმწიფო თეატრი სამტრედიაში

პარტკომის ინიციატივით სამტრედიაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო თეატრი. თეატრის ხელმძღვანელობს გ. გორდაძე.

ტფილისიდან თეატრში სამუშაოდ მოწვეული არიან მსახიობები: ჯალაღანია, [illegible], პიანისტი გორდაძე, ადგილობრივ ძალებიდან: დ. ლორია, ს. თევზაძე, [illegible], ვ. შვარცმანია, ა. სიგუა, [illegible], ტ. [illegible] და სხვ.

1936-37 წლის სეზონში განზრახულია დადგან „ანზორ“, „ნაცარქექია“, „მტრები“, „შორეული“, „ბრაზის ციხე“, „არისტოკრატები“ და სხვ.

სეზონი იხსნება 13 ოქტომბერს [illegible] მწერლის ს. შანშიაშვილის „არსენა“-თი.

პ. რუხია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

პროპაგანდისტთა სკოლების ([illegible] და სამხედრო ჯგუფები) მეცადინეობა, დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი— კონსულტაცია საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „პარტია „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ კონტრრევოლუციურ ჯგუფთან ბრძოლაში სამოქალაქო ომის წლებში“. საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია „მარქსისტულ ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და საბჭოთა ახალი კონსტიტუცია“. საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია აგიტატორებისათვის თემაზე: საბჭოთა მთავრობის ბრძოლა ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩაურევლობის ფიქციის წინააღმდეგ. საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი—ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის კომკავშირში პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციის შესახებ საქ. ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების საკითხზე. საღამოს 8 საათზე. რუსულ ენაზე.

○

— ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში, დღეს, საღამოს 7 საათზე აგიტატორებისათვის ქართულ ენაზე წაიკითხება მოხსენება: „თანამედროვე ესპანეთი“. მომხსენებელია ამხ. ჩარკვიანი.

რუსთაველის სახელობის [illegible] თეატრი 1936-37 წ. სეზონი

11 ოქტომბერს	არსენა
12 ოქტომბერს	არსენა
14 ოქტომბერს	პლატონ კრეჩეტი

სეზონის მუდმივი ადგილების შეძენის ვადა გაგრძელებულია.
სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

11 ოქტომბერს წარ. № 6	მზის დაბნელება საქართველოში
12 ოქტომბერს წარ. № 7	მზის დაბნელება საქართველოში

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—საღამოს 8—9 საათამდე.

ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11	ახალი ხმ. ფილმი ბედნიერების მაძიებელნი [illegible] 22 ახალგ. [illegible]
დამკვრელი საზამთ. 6 30, 8-30, 10-30 საზაფხ. 8, 10	ხმ. მხატვრული ფილმი ჟიულ ვერნის მიხედვით კაპიტან გრანტის შვილები
კომკავშირელი საზამთ. 6-30, 8, 9-30, 11 საზაფხ. 8, 10	საზამ. შენობ. ხმოვ. ფილმი სამნი ერთი ქუჩიდან საზაფ. შენობ. დიდი ქალაქის ჩირაღდნები
რ. ლუქსემბურგის სახ. 6, 7-45, 9-30, 11-10	ხმოვანი ამერიკული ფილმი დიდი ქალაქის ჩირაღდნები ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით.
26 კომ. სახ. 8, 10	
კომინტერნი საზაფხ. 8, 10	ხმოვანი ფილმი ხნაიპერი

11 და 12 ოქტომბერს

სახელმწიფო ცირკი ელბაქიძის დაღმ. 14. ტელ. 3-11-44.
მხოლოდ ორ დღეს დიდი წარმოდგენები განახლებული პროგრამით. ახალი ატრაქციონი — პირველად ტფილისში ფეხბურთის მატჩი ველოსიპედებით მონაწილე ჯგუფი მორენო
დასაწყისი 8 საათზე სალარო ღიაა 12-დან 2 ს მდე და 5 საათიდან.
12 ოქტომბ. დღის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში დასაწ. 2 საათ
ამ დღეებში მწვრთნელი გლადილ ჩიკოვი — [illegible] და [illegible] ჯგუფი. 50

ახალდაბის სატყეო მეურნეობა
საქ. სატყეო სამმართველოს გამგებლობაში მყოფი, რეგისტრირებულია ბორჯომის [illegible] 1935 წ. 15 ივლისს, № 6. საქმიანობა: [illegible] ტყის დამზადება და სატყეო კულტურები. [illegible] ანგარიში № 150-15 [illegible] ბორჯომის განყოფილებაში. მისამართი — [illegible]
1044 დირექტორი ს. კოკაძე მთ. ბუღალტერი ვლ. ღლონტი.

იხსნება საბუღალტრო-მოანგარიშის მოსამზადებელი
მოკლევადიანი კურსები
მსმენელების მიღების პირობათა გაგება კურსების კანცელარიაში. სურამის ქ. № 1, რკინიგზის სამმართველოს გვერდით. საბჭოს ქ. № 29, მე-81 სკოლაში. საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე. 1-371 3—2

დვირის სატყეო მეურნეობა
რომელიც იმყოფება საქ. კურორტსამმართველოს გამგებლობაში რეგისტრირებულია ბორჯომის ფინგანში 1935 წ. 15 ივლისს № 25. საქმიანობის საგანი [illegible] ტყის დამზადება და სატყეო კულტურების გაშენება. საანგარიშსწორებო ანგარიში № 150/12 საბანკის ბორჯომის განყოფილებაში. მისამართი: დვირი.
1045 დირექტორი ჯ. ბელაშვილი მთ. ბუღალტერი [illegible]

საწარმოო არტელი „შრომა“
იმყოფება აჭარკოოპინკავშირის გამგებლობაში რეგისტრირებულია ბათუმის ქალაქის საბჭოს ფინგანში 1936 წ. 2 იანვარს, № 9 საქმიანობის საგანი: [illegible] სამკერვალო [illegible] წარმოება [illegible] ანგარიში № 105/41 საბანკის აჭარის განყოფილება. მისამართი: ბათუმი, [illegible] ქ. № 22.
1048 თავმჯდომარე შ. ნოსელიძე. მთ. ბუღალტერი ფ. რურუა.

დედა ელისაბედ, ქმარი პავლე მგალობლიშვილი შვილებით ოთარით, ნოდარით იუწყებიან
ბაბულია გელოვან
მგალობლიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 ს. კალინინის, 41. დაკრძალვა 12 ოქტომბერს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე. 16428

შვილები: ნელი, თამარ, მართა, მაკა, სონია, ნინო, კოწია ოჯახებით იუწყებიან
ხოფით ნიკოლოზის-ასული
ნაკაშიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 ს. ნინოშვილის, 56 დაკრძალვა ბათუმში 12 ოქტომბერს. 16429

დედა ლიზა, ცოლი ლიდა, შვილები: ნოდარ, ეკა, ძმები: კასიანე, ელიზი, იაკინთე ხომერიკები იუწყებიან — 12 ოქტომბერს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
გორდისი (გიორგი) ბარნაბას-ძე
ხომერიკის
სამოქალაქო პანაშვიდი.

მეუღლე პლატონ აფაქიძე, შვილები — მალვა, თამარ [illegible], ქეთო, ნიკო კოკაია იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს 2 ს. სასაფლაოზე ვაკეში დანიშნულია
[illegible] პავლეს-ასული აფაქიძის
სამოქ. პანაშვიდი. 16427

განუგეშებელი მშობლები: სპირიდონ, ბაბილინა ჯინჯღლავები, [illegible], ბაბუა, ბებია, [illegible] ვალენტინა [illegible] იუწყებიან
პატარა ლიანას
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 15 ოქტომბერს მარტყოფში. 16424

მშობლები: ნოე, ზინა რატიანები ლალით, ბებია [illegible] ბაბუა ლუკა, ბაბუცა ქმარ-შვილით, ძმები: კარლო [illegible], მიშა, დავით ცოლით იუწყებიან, რომ [illegible] წლისთავზე დანიშნულია საყვარელი
ნანულიკოს
სამოქ. პანაშვიდი. 16431

მშობლები, ძმები: იასონ, ნიკა, სულიკო, რძლები: ლიდა, მარო, მარო აბელაკები იუწყებიან
ქრისტინე მიხეილის-ასულ აბელაკის
გარდაცვალებას. გამოსვენება 4 ს. 12 ოქტომბერს, [illegible], 12 კუკიის სასაფლაოზე. 16425

მეუღლე ანა [illegible], რძალი მარიამ შვილებით იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი
მიხეილ გრიგოლის-ძე ხესიაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 16423

დიმიტრი (მიშიკო) ოსაძე შვილით იუწყება, რომ 12 ოქტომბერს 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი მეუღლისა და დედის
მელიკოს და შვილის და ძმის
თამაზიკოს
სამოქ. პანაშვიდი. 16418

საბინაო კავშირის [illegible] ქარხნის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მეგობრის და თანამშრომლის ამხ. გრიშა შარაშენიძის
პატარა გივის
უდროოდ გარდაცვალების გამო.

დეიდაშვილები: [illegible] როგოვისა, ნადია [illegible]ელიძისა, თამარ კასაბაშვილისა, [illegible] რუხაძისა და ექიმი მაკო ბარქაია იუწყებიან
პატარა ზურიკო ილიას-ძე
რუხაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 16396

გულმოკლული მეუღლე ლუბა შვილით ოთარით იუწყებიან ნაცნობ-მეგობრებს, რომ 12 ოქტომბერს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარი
კლიმენტი შონიას
გარდაცვალებიდან წლისთავის აღსანიშნავი პანაშვიდი. 16421

სტალინის რაიონის პროკურატურა, სასამართლო და დამცველთა კოლეგიის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებას გამოსთქვამენ თავისი ამხანაგისა და მეგობრის ბ. კვერნაძის შვილის
პატარა იურის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 16398

ონისიმე და ალექსი ლეჟავები, სიძეები: [illegible], ლაბაძე, კიკალიშვილი, მახარაშვილი, მელაძე, მაღრაძე, [illegible] თავიანთი ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან ახალგაზრდა ეკონომისტის
ვალიკო პიმენის-ძე მაღრაძის
დაკარგვას. დაკრძალვა ს. ლეღვანში. 16410

გულდათუთქული დედა დესპინე, [illegible], თოდუ, პავლე, ზინა, ბენიამინ [illegible], დედა პელაგია [illegible] ქმარ-შვილით იუწყებიან — 17 ოქტომბერს ლანჩხუთში ([illegible] რაიონი) დანიშნულია სტუდენტის
შოთა ილიას-ძე ქარჩავას
პანაშვიდი. 16417

მისამართები: რედაქციისა — ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16; გამომცემლობისა — რუსთაველის პროსპექტი. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორისა: 3-62-26, მოადგილეებისა: 3-63-[illegible] 67; [illegible] 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა — 3—57—61; სასოფლო-სამეურნეოსი—3—73—40; მშრომელთა წერილებისა—3—73—24; გამომცემლობისა—ღამის რედაქტორისა — 3—26—67—ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

[illegible] სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ა 8059

ეროვნული ბიბლიოთეკა

DAS LEBEN DES IOHANN SCHILLING

ცხოვრება იოჰან შილინგისა



იოჰან შილინგი

I. იერუსალიმის ლეგენდა

ბუნდოვნად ახსოვს იოჰანს წელში მოხრილი პეპერა (პაპის მამა). მოჯამაგირედ უკვე ვეღარ დადიოდა ბებერი. დილაზე ძიგური სახლიდან დაბალ სკამს ოხვრით გამოიტანდა, ლეღვის ჩრდილში მიჯდებოდა, ყველაზე უმცროს შვილთა შვილის შვილს გვერდით მოისვამდა და ძველ ამბებს უყვებოდა. იოჰანი გაკვირვებით შესცქეროდა პეპერას, დინჯად უგდებდა ყურს და მის ნაამბობს გულში იბეჭდავდა.

მოხუცს ბევრი უამბნია სამშობლო კუთხეზე, სადაც ჭაბუკობის დღეები გაეტარებინა, სიყვარულით იგონებდა შვაბიის გორაკებს და ფიჭვნარით დაფარულ ტყეებს, მერე ოხვრით ჩაიქნევდა ხელს და თვალს ასურეთის მიდამოს მოავლებდა, თითქოს აქაურობას მამა-პაპათა მხარეს ადარებსო.

პეპერა თვითონ ყოფილა იმ საშინელი მგზავრობის მონაწილე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ გერმანიიდან აყრილმა უმიწაწყლო გლეხებმა და ხელოსნებმა გაიცადეს. რუსეთისაკენ წამოსვლის წინ, ვიურტემბერგის სამთავროში გაუქმდა ბატონებისაგან გლეხთა პირადი დამოკიდებულება. მაგრამ ამ აქტით გლეხობის მიერ მიწის გამოსყიდვა სავალდებულო როდი იყო. იგი ბატონის სურვილზე დარჩა დამოკიდებული. ბატონის სურვილით კი გლეხები კვლავ უმიწაწყლოდ დასტოვეს.

და აი ამ უმიწაწყლოთა მთელმა სოფლებმა გადასწყვიტეს სხვაგან ეძიათ მიწა-წყალი. ვიურტემბერგის მთავარს ეს არცა სწყენია. პირიქით: უნდოდა კიდეც მათი თავიდან მოშორება. იმ დროს რუსეთის მეფე ალექსანდრე I ეკატერინეს გზას ადგა და გერმანელებს რუსეთში იწვევდა. ვოლგა უკვე დასახლებული იყო გერმანელი კოლონისტებით. და როცა 1817 წ. გლეხთა ახალი ტალღა წამოვიდა შვაბიიდან, იგი სამხრეთ რუსეთში, — კერძოდ კავკასიაში გამოგზავნეს.

შვაბელი გლეხები მეტად მართლმორწმუნე ქრისტიანები იყვნენ. მღვდლებმა ხმა გაავრცელეს: ქრისტე უნდა გამოცხადდეს და თავის საყვარელ ადგილს — იერუსალიმს დაუბრუნდესო. და ვინც მას იერუსალიმში შეხვდება, ის სამუდამო სამოთხეს დაიმკვიდრებსო. უმიწობას და სიღატაკეს ეს სარწმუნოებრივი [illegible] დაემატა და გლეხები ადვილად დათანხმდნენ მიეტოვებინათ სამშობლო მხარე და იერუსალიმისაკენ დაძრულიყვნენ.

გაზაფხულზე 1400-მდე ოჯახი დაიძრა, მდინარე დუნაის ნაპირებს ტაატით მიჰყვებოდნენ გემები, ლატაკები და უმიწაწყლონი უკანასკნელად ელერსებოდნენ და ეთხოვებოდნენ სამშობლო მხარეს. ჯერ კარგად მიდიოდა მგზავრობა, მაგრამ მალე ხალხს ავადმყოფობა დაერია. გზაზე ორი ათას სულამდე დაიხოცა, ზოგი ბესარაბიაში და ზოგიც ოდესაში. ბევრი გზაზე ჩამორჩა და სხვადასხვა კუთხეს შეეხიზნა. ამ ხეტიალში დარწმუნდნენ ისინი, რომ არავითარი ქრისტე არ აპირებდა გამოცხადებას და ვერც იერუსალიმის ამქვეყნიურ „სამოთხეს" მიაღწევდნენ. ლეგენდა გზაშივე გაქრა. დარჩა მხოლოდ მწარე სინამდვილე.

როცა 1818 წ. სექტემბერს სავსებით გალატაკებულებმა და ქანცგაწყვეტილებმა ტფილისს მოატანეს, მხოლოდ აქ დაინახეს, თუ რა „სამოთხე" მოუმზადეს მათ ვიურტემბერგელთა მთავრებმა, სამღვდელოებამ და ალექსანდრე პირველმა.

იმ 72 ოჯახში, რომლებმაც სამოსახლოდ ტფილისის ახლოს აირჩიეს პაწია მდინარე ასურეთის მიდამოები, იოჰანის პეპერაც ერია.

მაშინ აქ გაუვალი ტყე იყო და უკაცური მიდამო. მიწას ადამიანის ხელი არ დაჰკარებოდა. ერთადერთი მჭედელი იდგა განმარტოებით, მდინარის გაღმა გორაზე. მისი სამჭედლოს წინ გადიოდა მახლობელი სოფლების გზა. ეს სოფლები კი ქართველ თავადებს ეკუთვნოდათ. ქვევით, პაწია ხევის ბოლოს, სადაც ასურეთი და ალგეთი ერთმანეთს ეკონება, მარაბდელი თავადი ზაალ ბარათაშვილი ფადიშახობდა. იქით, ქედს გაღმა მეორე ბარათოვი სჭამდა ხალხს, ორივეს მატრაკვეცა საჩინოვი ეჯიბრებოდა. ბოლოს საწყალი გლეხები — წინწყაროელი, მარაბდელი, ვაშლოვნელი გლეხები — წელში წყდებოდნენ.

შილინგების ოჯახს სოფლის თავში მოუზომეს პაწია სამოსახლო მიწა. აქ ჩაეყარა საძირკველი მათ კერას. უკვე ყმაწვილ იოჰანს არ ახსოვს სახლობის ამბები. სახლში არ გაუტარებია ეს ხანა, — მამასთან ერთად მდიდარ მემამულე აიხოლცთან იყო მოჯამაგირედ. მისი ტოლა ბიჭები, ვინც სხვის კარზე არ მუშაობდა, ზოგი ქალაქში დადიოდა სამუშაოდ, ზოგი მახლობელ სოფლებში. გოგოები კი ზამთარს ქალაქში მიდიოდნენ და ხელზე მოსამსახურედ დგებოდნენ.

— აიხოლცთან ფურგონზე ვმუშაობდი, ძველ ტანსაცმელს მაცმევდა და ნასუფრალს მაჭმევდა, მეტი მისგან არაფერი მახსოვს. ამ უბედურების გარდა, — ნაღვლიანად სთქვა იოჰანმა და სევდით აღსავსე თვალი მარცხენა ფეხს შეავლო. ეს ფეხი აიხოლცთან მოიტეხა 21 წლის ახალგაზრდამ. მემამულემ მის საექიმოდ კაპეიკი არ გაიმეტა. მამამისს კი გროშიც არ ჰქონდა, რომ შვილი ქალაქში ჩაეყვანა და წამლობაში ფული ეძლია. ვერაფერი უშველა იოჰანმა ფეხს და სამუდამოდ დაკოჭლდა. გული მოუკვდა ახალგაზრდა კაცს. დასევდიანდა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს.

ამ ხანებში სოფელში ყაზახები ჩააყენეს. საქართველო უკვე პირველი რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული. შეეშინდა მეფის მთავრობას და გერმანელ მოსახლეობასაც არ მოაკლო „მოწყალება": ყოველ ოჯახს ორ-ორი, სამ-სამი ყაზახი ჩაუსახლა.

— ჩვენთანაც ცხოვრობდნენ ისინი, — ამბობს იოჰანი. თუ სადმე იხელთებდნენ ღვინოს ან არაყს, მაგრად გამოთვრებოდნენ, მერე გავიდოდნენ სოფელში და ქალებს დაერეოდნენ, გაუთავებელი წივილ-კივილი და მოთქმა იყო.

ერთი ასეთი შემთხვევის დროს გაიცნო იოჰანი ახალგაზრდა მარიამ ილქს და მალე კიდეც შეირთო ის.

არაფერი არ მოეძებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. მამა ქრისტიანე უკვე მოტეხილი იყო და ვეღარ მუშაობდა. ნახევარი ჰექტარი ვენახი იყო იოჰანის იმედი. მაგრამ მისი შემოსავალი ვის უნდა [illegible], ადამიანებს, თუ ათასგვარ გადასახადს. ხვავი და ბარაქა არაფერს ჰქონდა. მეზობლობაშიც, თუ ვინმე ხეირიანი და გამოსადეგი ვაჟკაცი იყო, ვისი დახმარების იმედიც ექნებოდათ, ყველანი ჯარში წაიყვანეს. სოფელი დაცარიელდა ახალგაზრდებისაგან. ყველაფერ ამას გაუძლებდა კაცი, რომ სოფელს ახალი თავზარდამცემი ამბავი არ გაეგო.

მეზობლის — კუგელის ბიჭი ხშირად იწერებოდა ფრონტიდან, რუსეთში მოსახლე გერმანელებს ერეკებიან თავიანთ სოფლებიდან და ციმბირში ასახლებენო, მაგრამ აქ არ სჯეროდათ, თუ მათაც ამ დღეს გაუთენებდნენ. არ ეგონათ, თუ საქმე იქამდე მივიდოდა, რომ იოჰანს და მის მეზობლებს მეფის მთავრობა ჯაშუშობას დააბრალებდა მაშინ, როდესაც მათი საუკეთესო, რჩეული ბიჭები მეფის ჯარში იბრძოდნენ გერმანიის წინააღმდეგ.

მაგრამ ვინ გაიკითხა სიმართლე! იანვარში გამოუცხადეს სოფელს: 15 მარტს ყველანი უნდა აიყაროთ აქედან და ციმბირისაკენ გასწიოთო. არა თუ ქონების წაღების, პირუტყვის წაყვანის ნებასაც არ აძლევდნენ. მთელი სოფელი აფორიაქდა. მთელი დღე გულმკვდარი, გარეტიანებული დადიოდა იოჰანი. არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ გასჭრიდა ის თხოვნა, რომელიც სოფლის სახელით გაუგზავნეს სენატს. ვერც გასჭრა: მალე თხოვნა უკანვე დააბრუნეს წარწერით: „არ განიხილება, რადგან სენატს უკანონოდ გამოუგზავნესო".

იოჰანი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს: განკარგულება სისრულეში იქნებოდა მოყვანილი. და მართლაც შავად გათენდებოდა 15 მარტი ასურეთში, რომ თებერვლის რევოლუცია არ მოესწრო და თვითმპყრობელობა არ დაემხო.

იმ დღეს, ეს ამბავი რომ გაიგეს, სოფელში საერთო სიხარული და ხვევნა-კოცნა იყო. უხაროდათ ციმბირის ყინულოვან ტრამალებში [illegible] რომ გადაურჩნენ.

მაგრამ დიდხანს არ გასტანა ამ სიხარულმა. მალე სოფელს მენშევიკური გვარდიის რაზმი მოადგა. აწიოკეს და ააოხრეს იქაურობა გვარდიელებმა.

— ჩვენი საშველი არ ყოფილა — ამბობდა შილინგი და იმ დღეკარგული უყვებოდა მეზობლებს, თუ როგორ გაძარცვეს ის გვარდიელებმა სოფელ თელეთთან, როცა ქალაქიდან ბრუნდებოდა.

— თქვენ რათ ყიდულობთ ქალაქში საქონელს, ეს ჩვენი ქალაქია და არა თქვენიო, ცივად მითხრეს გვარდიელებმა (ისინი სამნი იყვნენ). ფურგონიდან ამოალაგეს შაქარი და ფართალი, თუ გავამხელდით — სიკვდილსაც შეგვპირდნენ და გამოგვისტუმრეს. ერთხელაც კარტოფილი წაართვეს იოჰანს, როცა ქალაქში ჰქონდა გასაყიდად.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, რომ ბოლოს გვარდიელებს არ წაეყვანათ ოჯახის მარჩენალი ორი ცხენიც, რომელიც სიმწრით ჰყავდა შეძენილი.

— ესენი კაზიონია, შენ ვინ მოგცა! — შარი მოსდევს იოჰანს და ცხენები გზას გაუყენეს. ვეღარ მოითმინა იოჰანმა ამდენი ძარცვა-შეურაცხყოფა და ერთ გვარდიელთაგანს მაგარი სილა გააწნა, რაც ორი თვის პატიმრობად დაუჯდა.

ორი თვის შემდეგ კი იოჰანი ცხენებიანად დაბრუნდა შინ. სოფელში უკვე საბჭოთა ხელისუფლება დახვდა.

2. ხანძარი!

კერძო მეურნეობაში იოჰანმა სიხარული ვერ ნახა. მოსავალი არ ჰყოფნიდათ. ცხენების საკვებში მიდიოდა მისი დიდი ნაწილი. ადამიანები კი მართალია წინანდელზე უკეთ, მაგრამ მაინც ღარიბად ცხოვრობდნენ. სოფელში 80-მდე ასეთი ღარიბი ოჯახი იყო. როგორც შილინგები, ისე პატიოსნად მუშაობდნენ ისინიც, უკეთესს ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, მსჯელობდნენ, გამოსავალს ეძებდნენ.

და ბოლოს ნახეს კიდეც.

ეს იყო 1928 წელს.

ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ მერცხალმა პირველად გადაუქროლა ასურეთს და გაზაფხულის სიო მოიტანა. მთის ფერდობებზე თეთრად ჩამწკრივებულ სახლებში ბრწყინვალე მზემ შეანათა.

მაგრამ მზისთვის ოტო კოხს დაესწრო. ტრაქტორები გულმოდგინედ გაესინჯა და სამუშაოდ მომზადებული ამხანაგებს ელოდებოდა. მისი ენერგიული და მუდამ მხიარული სახე სიხარულით იმ დღეს უფრო ანთებულიყო.

რამდენიმე წუთის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობაში გაერთიანებულმა მეზობლებმა თავი მოიყარეს და მხიარული სიმღერით მდინარე ასურეთის ჭალებისაკენ გამართნენ. მათ მოღრიალე ტრაქტორები მიუძღოდათ წინ და მაღალ მთიდან გადმომდგარი მზე გზას უნათებდა. შილინგი ტრაქტორისტის გვერდით მოკალათებულიყო და ჭაღარა წარბებქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები სიხარულით უციმციმებდა. მარიამი ფურგონზე იჯდა, ჩალის ქუდი ქოლგასავით ეხურა და ქალებთან ბაასობდა.

დღეს განსაკუთრებული სიხარულით ანათებს წყეულ წარსულში ნატანჯი ასურელთა გული. მაგრამ სოფელში ყველა როდი მხიარულობს. კულაკი იაკობ ოსვალდი წინასწარ გრძნობდა მოახლოვებულ უბედურებას და ყელში მოწოლილი ბრაზი ახრჩობდა. ის თავის ორსართულიანი სახლის აივნიდან გადმომდგარი ზიზღით გაჰყურებდა [illegible] მიმავალ გლეხებს. მისი სახლი ფარღალალა ქოხებს ამაყად გადასცქეროდა. ტრაქტორის გუგუნი ოსვალდს გულში ისრად ხვდებოდა. ის ცოფმორეული ძაღლივით შფოთავდა და ათასგვარ ბოროტ-გეგმას ადგენდა.

— ტრაქტორები შეიძინეს, მაგრამ სახნავ-სათესი მიწების გაერთიანება და საზღვრების მოშლა რა ჭკუაში დაუჯდათ? არა, ეს რაღაც კარგის ნიშანი არ არის და თუ ასე გაგრძელდა, ჩემი საქმე ცუდად წავა. ისინი ჩემს მიწასაც მალე შეიერთებენ, თორემ სხვას ვინ ჩივის! ფიქრობდა ის. მერე ჯავრიანად ჩაირბინა კიბე და შარაზე გავიდა. მიდის იაკობ თემშარაზე, მიჰყვება ტრაქტორის კვალს და გრძნობს, თითქოს მიწას კი არა, გავარვარებულ ლითონს ადგამდეს ფეხს.

მეორე დღეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ ოტომ მხარზე ხელი დაჰკრა იოჰანს და ღიმილით უთხრა:

— ხომ კარგია ტრაქტორი, ერთი-ორი კიდევ რომ გვყავდეს, ჭალას კი არა, მთებსაც გადავხნავთ!

— კარგი ცხენებია — უპასუხა იოჰანმა. შილინგის პასუხზე სხვებმა გადაიხარხარეს. შილინგმაც გულიანად გაიცინა და მოჰყვა: წინათ ტრაქტორი კი არა, გუთანი მენატრებოდა. თოხის საყიდლად ფეხით ტფილისში ჩავდიოდი ეგების იაფად მეშოვნა.

სასოფლო სამეურნეო ამხანაგობაში ორი წელი ასურეთელმა ღარიბებმა კარგად გაატარეს. შემდეგ კი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საკითხი დაისვა.

იოჰანის ცოლი, ნამდვილი მშრომელი ქალი, მაშინ სოფლის საბჭოს წევრი იყო. კოლექტივის საკითხი პარტორგანიზაციაში და სოფლის საბჭოში პირველად დაისვა. ცენტრიდან ჩამოსულმა კაცმა ერთ საათს ილაპარაკა კოლმეურნეობის უპირატესობის შესახებ, მაგრამ ზოგს არ ეპიტნავა მუშა-საქონლისა და საწარმოო იარაღების გაერთიანება. და აი, როცა ოტო კოხი მისთვის ჩვეული რიხითა და სიტყვით გამოვიდა, დამსწრეებმა კმაყოფილად ერთმანეთს გადახედეს.

— კარგია! — ტაში შემოჰკრა ემანუელ ბრაუნმა და მას სხვებიც აჰყვნენ.

მარიამი შინ გვიან დაბრუნდა, კარებში ქმარმა საყვედური შეაგება.

— რატომ დაიგვიანე?

— ქვეყნის ამბავი გადავწყვიტეთ! —მოკლედ მიუგო ქალმა და ცეცხლი გააჩაღა საჭმლის გასაცხელებლად. იოჰანი გააოცა მარიამის უცნაურმა პასუხმა და ხელმეორედ შეეკითხა ცოლს.

— რას ამბობ ქალო, ქვეყნის საქმის გადაწყვეტა შენ ვინ მოგანდო?

მარიამი დაწვრილებით მოუყვა კრებაზე ნახულსა და გაგონილს, განსაკუთრებით ოტოს სიტყვები გადასცა ქმარს, რადგან იცოდა, რომ სოფელში ყველაზე მეტად ოტოსი სჯეროდათ.

— ემანუელმა რა სთქვა? — შეეკითხა იოჰანი.

— ოტოს შემდეგ ისიც ჩაეწერა კოლმეურნეობაში. ახლა ჯერი შენზეა. ხვალ დილით ოტოსთან უნდა მიხვიდე — გადაწყვეტით უთხრა მარიამმა.

იმ ღამეს ბევრი ილაპარაკეს კოლმეურნეობაზე. თითქმის თეთრად გაათენეს ღამე და დილით, როცა მთებიდან გადმოწოლილი ნისლი იფანტებოდა, იოჰან გაუბედავად მიადგა სოფლის საბჭოს კარებს.

— იოჰანს გამარჯვება — ომახიანად შესძახა ოტომ და ხელი მაგრად ჩამოართვა — ეწერები?

— შენ ჩაეწერე? — შილინგმა იცოდა, რომ კოხი პირველად ჩაეწერა კოლმეურნეობაში, მაგრამ მაინც ჰკითხა.

— რა საკითხავია! — მოკლედ მოუჭრა ოტომ.

— აბა, მეც მთელი ოჯახით ჩამწერე — დაჯერებით და გადაწყვეტით წარმოსთქვა შილინგმა.

მალე კოლმეურნეობის ამბავი მთელს სოფელს მოედო. კულაკი იაკობ ოსვალდი ტყავში ვეღარ ეტეოდა. მაგრამ რა ექნა! ხალხის სურვილს წინ ხომ ვერ გადაუდგებოდა. ღამით, როგორც შემპარავი ძაღლი, ისე დაძვრებოდა სახლებში და ათასგვარ ჭორს ავრცელებდა. ერთხელ მან იოჰანს გზა გადაუღობა და დაემუქრა.

— შენ, ჰეი, შილინგო! გაზაფხულის პირველი კვირტის გამოსვლისთანავე შენი კოლექტივი გაჰქრება.

არ გაჰქრა. პირიქით, კოლმეურნეობა უფრო გამაგრდა.

ინათებდა თუ არა, იოჰანი და მარიამი შვილებთან ერთად გასწევდნენ მინდვრისაკენ. ერთ საღამოს, როცა ტყვიისფერი ციდან გაზაფხულის სავსე მთვარე ამაყად დაჰყურებდა მოხნულ მინდვრებს, კოლმეურნეებს კრება მოეწვიათ და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ. ოტოს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა მოხსენება, როცა მახლობელ ორღობეში ცეცხლის ალი ავარდა.

— ხანძარი! იყვირა ვიღაცამ. სადღაც თოფიც გავარდა. ძაღლებმა საშინელი ყეფა ასტეხეს. მთელმა სოფელმა ემანუელ ბრაუნის ჭიშკართან მოიყარა თავი. მისი ბოსტნის ღობიდან და თივის ზვინებიდან ავარდნილი ალი ზეცას ლოკავდა.

— ენით რომ ვერაფერს გახდნენ, ახლა ცეცხლით შემოგვიტიეს! გაიფიქრა თავისთვის შილინგმა და სხვებთან ერთად შეუდგა ცეცხლის ჩასაქრობად წყლის ზიდვას. ნაშუაღამევს, როგორც იქნა, ხანძარი ჩააქრეს. შემდეგ ბევრი ეძებეს, მაგრამ ბოროტმოქმედის კვალს ვერ მიაგნეს. იქვე კი ამბობდნენ, იაკობ ოსვალდი და მისი ამქრების საქმეაო. მაგრამ ამის საბუთი ხელში არავის ჰქონდა, მეორე დილით კოლმეურნეები რომ სამუშაოდ გავიდნენ, მინდორში დასობილი ფიცარი ნახეს. ფიცარზე ქაღალდი მიეკრათ და ქაღალდზე დიდყურა დაეხატათ. ვირზე კოხი იჯდა, წინ ბრაუნი მიუძღოდა, ქვევით კი ეწერა: „თავი დაანებეთ კოლმეურნეობას, თორემ ყველანი სიცოცხლეს გამოესალმებითო". ოტოს გაეცინა, ფიცარი მოაძრო და გადააგდო. ამის შემდეგ კლასობრივი მტრები მრავალჯერ შეეცადნენ კოლმეურნეობის მუშაობის ჩაშლას, მაგრამ რა დაუდგებოდა წინ იმ აზვირთებულ ტალღას, რომელიც ძველი სოფლის უვიცობას და სიღარიბეს წალეკვას ემუქრებოდა.

3. სიღარიბე ლექსიკონიდან ამოიშალა

გამოიცვალა შილინგის ცხოვრება. მას და მის მეზობლებს მთელი წლის სარჩო პური არასდროს არ მოუყვანიათ. კოლმეურნეობაში კი პირველი წლის მოსავალმა უხვი კალთა დაბერტყა და ბეღლები დოვლათით გაივსო. სხვა სურსათს თავი რომ დავანებოთ, იოჰანმა მარტო ასი ფუთი პური და 500 ვედრო ღვინო მიიღო. ასევე მიიღეს დანარჩენებმაც. ბებერმა ძაღლმა იაკობ ოსვალდმა ეს რომ გაიგო, სიბრაზე უფრო მოაწვა გულზე და როგორც კოლმეურნეები გადმოგვცემენ, ამ ბრაზს გადაჰყვა კიდეც.

— შილინგმა, კოხმა, კონკებაშვილმა ბეღელი გაივსეს, ჩვენ რა მოგვივიდა? ერთმანეთს ეკითხებოდნენ კოლმეურნეობის გარეთ დარჩენილები.

— ნეტავი ჩვენც შევსულიყავით! —შენიშნა ერთმა.

— შენ ოსვალდის პროვოკაციას აჰყევი! — სიტყვა ჩაუკრა მეორემ.

მალე ურწმუნონიც დარწმუნდნენ და მთელი სოფელი კოლმეურნეობად გაერთიანდა (გარდა 4 კომლისა).

გავიდა ორიოდე წელი და ასურეთში სიტყვა „ღარიბი" ამოვარდა ლექსიკონიდან...

კარლ მარქსის განიერ ქუჩაზე, წითელ, ყვითელ და ცისფერ ყვავილებით აჭრელებულ № 13 ეზოში ახლადშეღებილი სახლი ლამაზად გამოიყურება. თითქმის მთელ ეზოს კაკლის უზარმაზარი ხე ჰფარავს. მის ტოტებ ქვეშ აკაციის, ლეღვისა და დაფნის ხეები ხარობენ. სახლი ახალია და ამ ახალ სახლში ახალი ადამიანები ახლებურად ცხოვრობენ. ძველი სახლი შეაკეთეს, მას დასავლეთით ორი და აღმოსავლეთით ერთი ოთახი მიაშენეს, იატაკი დაფარეს, ოთხოთახიან სახლში დღეს საამურად ცხოვრობს იოჰან შილინგის ოჯახი, რომელმაც შარშან 1487 შრომადღე გამოიმუშავა. შილინგს წინათ როიალი კი არა, უბრალო გარმონიც არა ჰქონდა. ახლა კი კოლმეურნეობიდან რამდენიმე ათასი მანეთი მიიღო და ოთხი ათასად როიალი შეიძინა. უფროსმა ვაჟმა ვილჰელმმა, მოტოციკლი იყიდა, ხოლო უმცროსმა ოტომ ველოსიპედი.

სახლის ყველა კუნჭულიდან სიღარიბე განიდევნა და მისი ადგილი როიალმა, შიფონერებმა, შკაფებმა, საკერავმა მანქანამ, კოსტუმებმა, ხალიჩებმა და წიგნებმა დაიჭირა. კედლები ბელადების პორტრეტებმა დაამშვენა. სახლის განიერ ფანჯრებში მზე შეიჭრა და ყველა ოთახი გაანათა. დედმამა და შვილები ტკბილად, შეწყობილად და საამურად ცხოვრობენ. მათ საკარმიდამო მიწაზე ბაღი გაუშენებიათ, ჰყავთ სამი ძროხა, 3 დედალორი და შინაური ფრინველი.

იოჰანიც გაახალგაზრდავდა.

შარშან იოჰან შილინგის ოჯახმა მიიღო: 4628 ლიტრი ღვინო, 3148 კილოგრამი მარცვლეული, 581 ლიტრი არაყი, 3564 კილოგრამი კარტოფილი. 488 კილოგრამი ხილ-ბოსტნეული და 6250 მანეთი ფულად. და განა მარტო შილინგი, კოხი, კუგელი ან კონკებაშვილი ცხოვრობენ ასე? არა, მთელი ასურეთის კოლმეურნენი, გარდა რამოდენიმე ახლად მიღებული წევრისა, დღეს შეძლებულად ცხოვრობენ, ყველა კარგად მუშაობს და ყველა ბლომად ღებულობს.

ვინც ამ 2-3 წლის განმავლობაში ასურეთში არ ყოფილა, ის დღეს ძნელად კი იცნობს სოფელს. განიერი და ლამაზი ქუჩების ორივე მხარეს თეთრი აივნიანი სახლებია ჩამწკრივებული. მდინარის პირად ფერდობზე ლამაზად მოწყობილ კულტურისა და დასვენების პარკს ორი ჰექტარი უჭირავს.

კოლმეურნეობას ხუთი საბარგო და ერთი მსუბუქი ავტომობილი ჰყავს, რომლითაც გადააქვთ სურსათ-სანოვაგე და საკოლმეურნეო დოვლათი.

მსუბუქმა მანქანამ ასურეთლებს მარტში ყველაზე უფრო საყვარელი და საპატიო ადამიანი ჩამოუყვანა. ეს იყო საქართველოს დელეგაციის წევრი ორდენოსანი ერნსტ კუგელი, რომელსაც ტფილისში შეხვდა ამხ. ოტო კოხი და ღამით ასურეთში ჩაიყვანა.

იმ ღამით მთელი ასურეთი დროშებისა და მაშხალების ალით იყო განათებული. შეხვედრა კი არა, ნამდვილი ზეიმი იყო. ოტო თვითონ მართავდა მანქანას და სიხარულით მიაქროლებდა ამ ბრგესა და სახეგაბრწყინებულ ადამიანს.

— ერნსტ, ერნსტ! გაიძახოდნენ კოლმეურნენი და კუგელი ვერ ადიოდა საყვარელი ამხანაგების ხელის ჩამორთმევას და ხვევნა-კოცნას, ის ღამე სიმღერაში, ქეიფსა და ცეკვაში გაატარეს.

— ერნსტ, შენ ხომ დიდ სტალინს სიტყვა მიეცი, ჩვენ მზადა ვართ მის შესასრულებლად! შესძახოდნენ ძვირფას ამხანაგს.

კატიოსანი საკოლმეურნეო შრომა შეძლებული ცხოვრების საფუძველია. სურათზე: (მარცხნიდან): 1. იოჰან შილინგი ყურძენს კრეფს. 2. იოჰანის უმცროსი ვაჟი—ოტო მოტოციკლეტით მიდის სამუშაოზე. 3. შარშან ოჯახმა როიალი შეიძინა. რძალი ელა ხშირად ართობს ხოლმე ოჯახს. 4. ჰენრიხ კუგელი, მე-11 ბრიგადის ხელმძღვანელი, ყურძენს კრეფს. ფოტო რ. აკოფოვის

ფოტო რ. აკოფოვის

ჰენრიხ კუგელის ბრიგადა ყურძნის კრეფაზე.
მარჯვნივ კალათით ხელში: იოჰან შილინგი.

4. ციცინათელების ღამე

ამ დღიდან იოჰანმა და ყველა კოლმეურნემ ერთიათად უმატეს შრომას. ვენახებსა და პურის ყანებში გუგუნებდა ახალი შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრების სიმღერები. ლექსებიც კი გამოსთქვეს კოლმეურნეებმა, ახალი ლექსები, სადაც უბრალოდ, გულწრფელად გადმოსცემენ თავიანთ განცდებს და სურვილებს...

ჩვენ შეუმჩნევლად შევედით მეთერთმეტე ბრიგადის ვენახში. შავი და ოქროსფერი მწიფე მტევნებით დახუნძლული ვაზები წელში იხნიქებიან. ზოგი მტევანი კილონახევარს, თუ ორ კილოს იწონის. რთველი დღეს დაიწყო და გახურებული კრეფაა. ქალები და მამაკაცები ლამაზი კალათებით სწრაფად ეზიდებიან ყურძენს, ფურგონს ტვირთავენ და სარდაფისაკენ ისტუმრებენ.

იოჰან ნაკვეთის ნაპირას ჩაცუცქებულა, ფეხთან კალათი მოუდგამს და გამალებით ჰკრეფს. თან ჩუმად ღიღინებს შვაბურ კილოზე რაღაც სიმღერას. მივესალმეთ, პასუხად, მან ხელთან ერთად ყურძნით სავსე კალათა მოგვაწოდა და თან დააყოლა:

— გასინჯეთ, ამ წლის საკოლმეურნეო დოვლათია.

მართლაც რომ შესანიშნავად მოვლილი ვენახია. მოსავალიც კარგია. მაგრამ ახლა ყურძენი კი არ გვაინტერესებდა იმდენად, უფრო იოჰანის სიმღერა გვაკვირვებდა. იგი იშვიათად თუ უნახავთ მომღერალი, მუშაობისას ხომ ხმასაც არ ამოიღებდა. ახლა კი წყნარად მოღიღინებს რომ შევესწარით, თითქო შერცხვაო, წითურ სახეზე ფერმა ოდნავ გადაჰკრა და ჩვენს თხოვნაზე, სიმღერა გაემეორებინა, გულიანად გაიცინა.

— რა მომღერალი მე მნახეთ. სიმღერა თუ გინდათ, ბერტასთან წადით, ის არის მაგის ოსტატი. რაც კი ახალი ლექსებია, ნახევარი მისი მოგონილია.

მაინც არ მოვეშვით და როგორც იყო ამოვათქმევინეთ რამდენიმე სიტყვა.

...საღამოს, ასე ექვსი საათი იქნებოდა, როცა საბჭოთა სამტონიანით სოფელში მოგრიალდა ჰენრიხ კუგელის ბრიგადა. იოჰანი ჭაბუკივით გადმოხტა მანქანიდან. მას ცოლიც გადმოჰყვა და ორივემ სახლისაკენ გასწიეს. შვილები და რძალი შინ დაუხვდათ. ვილჰელმს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის შოფერს, დღეს ადრე მოეთავებინა მუშაობა და შინ გორკის „დედის" კითხვას შესდგომოდა. ჰენრიხი, ისიც შოფერი, მოსკოვის გერმანულ გაზეთს ათვალიერებდა.

იგი პირველად ყოველთვის გერმანიის ამბებს მოსძებნიდა ხოლმე და გულმოდგინედ ამოიკითხავდა, რადგან შემდეგ მამისათვის უნდა ეამბნა ყველაფერი. ახლაც, შევიდა თუ არა იოჰანი სახლში, ჰენრიხმა ახალი ამბავი შეაგება.

— ჰიტლერს მორიგი სისულელე უთქვამს, მამაჩემო — უთხრა მან.

— აბა, აბა, ერთი მიამბე.

ჰენრიხმა ყველას გასაგონად წაიკითხა ჰიტლერის სიტყვა ჰანოვერში გამართულ მოსავლის დღესასწაულზე. ხორცის და კარაქის ნაცვლად ამ დღესასწაულზე ყუმბარები და ზარბაზნები გამოფინეს. კვერცხის და ყველის ნაცვლად თვითმფრინავები და მახრჩობელა გაზები აჩვენეს.

იოჰანს ყოველთვის აინტერესებდა გერმანელი გლეხების ცხოვრების ამბები. ამასწინათ, მათთვის რომ შეეტყობინებინათ თავიანთი ცხოვრების ამბავი, კოლექტიური წერილი გამოაქვეყნეს მოსკოვის „ცენტრალურ გერმანულ გაზეთში" ახლა კი, როცა შვილი უკითხავდა მოსავლის დღესასწაულის ამბებს, იოჰანს ულვაშებში ეღიმებოდა.

— ჰმ! მოვიდნენ და ჩვენი მოსავალი ნახონ. მერე გაიგებენ, რა ბიჭებიც არიან! — ჩაილაპარაკა მან და შვილს ხელმეორედ წააკითხა ჰიტლერის სიტყვები. იგი ასე მიმართავდა გერმანელ გლეხს: „შენ, გერმანელო გლეხო, არ გაბედო სთქვა: მე დღეს ვიღუპები, მე მეტს არ ვიმუშავებ. შენ ვერ უნდა ჰბედავდე განაცხადო: მე არ ჩავაბარებ რძეს".

— და ამის შემდეგ ისინი გაჰყვირიან, გლეხები საბჭოთა კავშირში შიმშილობენ და გაჭირვებული არიანო. მაგრამ რა ხალხი არიან და რა პირი აქვთ მათ, რომ სინდისმა შეაწუხოს! —დინჯად ამბობს იოჰანი და მეორე ოთახში გადის.

მალე ვილჰელმმა წიგნის კითხვა მიატოვა და წასასვლელად მოემზადა.

— სად? — შეეკითხა ელლა.

— შორს არსად, აქვე სოფელში, ჯერ დედას გავასეირნებ მოტოციკლით, მერე კი შენ!

მალე ეზოში მოტოციკლი აგუგუნდა. მხიარული მარიამი კიბეზე დაეშვა და შვილს გვერდით მოუჯდა. ჰენრიხმა ვეღარ მოითმინა ვილჰელმმა რომ სასეირნოდ გასწია და თავისი ველოსიპედი გამოიტანა.

ხვალ კვირა იყო და სოფელი წინა საღამოსვე შეუდგა გართობას და მხიარულობას.

ქუჩიდან გარმონის ხმა მოისმა. შუაქუჩაში ათიოდე ახალგაზრდა მოდიოდა, ერთს ხელში გარმონი მოემარჯვებინა და წინ მოუძღოდა. „მხიარული ახალგაზრდობის" ანკარა და მიმზიდველი ჰანგები წყნარად იშლებოდა ფართო ქუჩაში და [illegible] ეფინებოდა. აქა-იქ ჭიშკარში გოგოებმა მალულად გამოიჭყიტეს და ისევ გაუჩინარდნენ.

კლუბთან დახურული ავტომობილი მოგრიალდა. ეს — ქალაქიდან ხმოვანი კინოსურათი „ცირკი" ჩამოიტანეს და ამაღამ უჩვენებენ.

ამ დილით ეს ქუჩა თითქმის ცარიელი იყო (სამუშაო დღეს სოფელში კაცის ჭაჭანება არაა საერთოდ). ახლა კი იგი თანდათან ხალხით ივსებოდა. ზოგი კლუბში მიდიოდა, ზოგი კულტურისა და დასვენების პარკში. პარკიდან უკვე კარგა ხანია ისმოდა სასულე ორკესტრის მიმზიდველი ხმა და პარტიზანულის მებრძოლი ჰანგები.

სოფელი ჭრელი კაბებით, ახალი კოსტუმებით და გალსტუკით დამშვენებული ადამიანებით აივსო. იოჰანი და მისი სიყრმის ამხანაგები კოლმეურნეობის კანტორასთან შეჯგუფებულიყვნენ და სიამოვნებით, სიყვარულით ადევნებდნენ თვალს ამ გაახალგაზრდავებულ სოფელს, ალბათ გუნებაში თავიანთ მწარე ჭაბუკობის წლებსაც იგონებდნენ.

— როგორ მოგწონს, იოჰან, ეს ახალგაზრდობა, ჰგავს თუ არა ძველს?

—შევეკითხეთ ჩვენ.

— ეჰ, რა შედარებაა, ჩვენც გავახალგაზრდავდით, თორემ მაგათ ხომ ბედნიერი დღე დაუდგათ. ცხოვრება მართლაც რომ ღირს ახლა — იოჰანის მაგივრად გაბრწყინებული თვალებით გვიპასუხა ჰენრიხ კუგელმა და ამხანაგებს გადახედა.

მიდამო უეცრივ აბრჭყვიალა ელექტრონის შუქმა. სინათლის ათასი წერტილით განათებული სოფელი, როგორც სარკეში, ისე მოსჩანდა მდინარის გაღმა მთვარით განათებულ გორაკის ფერდობზე.

ატეხილ ჭალებს და გორაკებს ოქროს წვიმად ეყრებოდა სხივთა კონები და ღამეს ციცინათელასავით აციმციმებდა.

ვ. მგალობლიშვილი
კლ. გოგიავა

სოფ. ასურეთი,
8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო — აპარატით ასურეთის მილიონერ კოლმეურნეობაში

ფოტო რ. აკოფოვის

—ფილა. კოლმეურნე ქალები სამუშაოდ მიდიან. ახალგაზრდა ტრუტ ბაუერი ცხენებს მიერეკება.

ეს ასურეთის მთავარი ქუჩაა. მომავალ წელს მას ასფალტი დაეფარება.

კოლმეურნეობის ღვინის სარდაფი. სარდაფი აქვს, რომელიც 12.000 დეკალიტრს იტევს. კოლმეურნე [illegible] ახალ ლეხისთვის.



შენობა ახალი. ახლა ხაში [illegible].

კვირაძლეა. ახალგაზრდა კოლმეურნეთა ჯგუფი გართობით ერთობა.

შენრიხ კრომერის ოჯახში სიხარული და ბედნიერებაა. კვირაა. შვილი ალბერტი პიანინოს უკრავს. დედა ხელსაქმობს და უსმენს. ამ სახლში მუსიკალური ინსტრუმენტების თავისებური საწყობია: პატეფონი, გარმონი, მანდოლინა.

კლუბში საბავშვო ბილიარდი აქვთ. ერიხა ოსვალდი და ერიხ რაიდენბახი ხშირად თამაშობენ ბილიარდს.

90.171 კაცმა გადაცვალა ობლიგ. ციები

1-დან 11 ოქტომბრამდე, ე. ი. 10 დღის განმავლობაში ტფილისში, წინათ გამოშვებული სესხთა ობლიგაციები გადაცვალა 90.171 კაცმა. გადაცვლილი ობლიგაციების თანხა უდრის 58.710.395 მანეთს.

განვლილი ათი დღის განმავლობაში ობლიგაციების გადაცვლა ხდებოდა 1824 კოლექტივში. ჯერჯერობით გადაცვლა არ დაწყებულა მუშა-მოსამსახურეთა 177 კოლექტივში, ხოლო 452 კოლექტივში გადაცვლა უკვე დაამთავრეს.

ინდივიდუალურად ობლიგაციები გადაიცვალა 14.960 კაცს 7.010.620 მანეთის თანხაზე.

განვლილი ათი დღის განმავლობაში, ობლიგაციების შემოწმებისას გამომჟღავნებულ იქნა 14.143 მოგება. მოგებათა ნაწილი—654.400 მანეთი უკვე გაცემულია.

◆

ქუთაისი

ლითოპონის ქარხნის მშენებლობა

მთავრდება ქუთაისის ლითოპონის ქარხანა თავისი სიმძლავრით პირველია მთელ საბჭოთა კავშირში, ხოლო რიგით მეორე. ძირითადი კორპუსი, საქვაბე და სატრანსფორმატორო შენობები ძირითადად დამთავრებულია. ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები და გაზგენერატორის საამქროს მშენებლობა.

1936 წელს ლითოპონის ქარხნის მშენებლობისათვის გადადებულია ოთხი მილიონი მანეთი, მაგრამ ეს თანხა მთლიანად ვერ იქნება ათვისებული სამონტაჟო სამუშაოების გაჭიანურების გამო. მთავარი კორპუსის მონტაჟი უნდა დაწყებულიყო მესამე კვარტალში, მაგრამ მომწოდებელმა ქარხნებმა არ შეასრულეს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებანი და თავის დროზე არ მიაწოდეს ქარხანას საჭირო ღუმელი (ბერდიჩევის ქარხანა „პროგრესი") ბურთული წისქვილი (ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა) და სატრანსმისიო მოწყობილობა („რეემაშტრესტი").

საჭირო გახდა სამონტაჟო სამუშაოების გადატანა ნოემბრისათვის. პირველ რიგში დამონტაჟდება გაზგენერატორის საამქრო და მთავარი კორპუსის თუთიის განყოფილება. სამონტაჟო სამუშაოებს აწარმოებს ტრესტი „ორგხიმმონტაჟი".

ამუშავებულად ქარხანა მზად იქნება 1937 წლის მეორე ნახევარში. ამ დროისათვის ქარხანა სავსებით იქნება დაკომპლექტებული მუშათა მუდმივი კადრებით —600 კაცის რაოდენობით.

ქარხნის ამუშავებისას მუშებისა, მოსამსახურეებისა, და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის ქარხნის მახლობლად აიგება მუშათა კეთილმოწყობილი ქალაქი. უკვე დამთავრებულია 12-ბინიანი სახლის მშენებლობა, მთავრდება 18-ბინიანი სახლის აგება და დაწყებულია კიდევ ერთი 12-ბინიანი სახლის მშენებლობა. მომავალ წელს მუშათა ქალაქის ტერიტორიაზე აიგება კლუბი, სასადილო, საბავშვო ბაგა, ბი და ახალი სახლები მუშებისათვის, აგრეთვე სპეციალური შენობა ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის.

ქუთაისის ლითოპონის ქარხანა ყოველ წლიურად გამოუშვებს 19 ათას ტონა თეთრ მინერალურ საღებავს (ლითოპონს), რომელსაც ფართოდ იყენებენ სამღებრო საქმეში და რეზინის მრეწველობაში. (საქინ).

◆

ჭადრაკი

მატჩი მაესტროს სახელის მოპოვებისათვის

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ფიზკულტურის და სპორტის საკავშირო კომიტეტის წინაშე, რათა მოეწყოს საქართველოს ერთერთი უძლიერესი მოჭადრაკის ამხ. ა. ებრალიძის მატჩი მაესტროს სახელწოდების მოსაპოვებლად.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

მატჩი მოეწყობა ნოემბრის დამლევს ან დეკემბრის პირველ ნახევარში. საკითხი, თუ რომელი მაესტრო გამოიყოფა ამ მატჩისათვის, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

გავაცხოველოთ რემედასის მუშაობა

რემედასის ტფილისის საქალაქო კონფერენცია

არასოდეს ისე დიდი ასპარეზი არ ჰქონია რემედასის მუშაობას, როგორც ახლა. ესპანეთის ამბები, საერთაშორისო ფაშიზმის სისხლიანი ლაშქრობა მუშათა კლასის წინააღმდეგ, ერთის მხრივ და ამავე დროს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მეორეს მხრივ, რემედასის ორგანიზაციები ახლა უნდა მუშაობდნენ აქტიურად. მაგრამ სწორედ ასეთ მნიშვნელოვან მომენტში საქართველოს რემედასმა თითქმის სავსებით მიაძინა თავისი საქმიანობა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რემედასში შემავალმა ფაბრიკებმა და გამგეობებმა თითქმის სრულ განიავებამდე მიიყვანეს რემედასის ტერიტორია. ამ საკითხებზე ლაპარაკობდნენ რემედასის ტფილისის მე-5 კონფერენციის დელეგატები და მსჯელობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა მიიღწიოს უახლოეს დროში რემედასის საქმიანობის გაცხოველება.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. პ. შარიას მოხსენება რემედასის ორგანიზაციების მიმდინარე ამოცანათა შესახებ. ეს ამოცანებია: გავზარდოთ რემედასის მასობრივი ინტერნაციონალური აღზრდელობის ორგანიზაციად, ფართოდ გავშალოთ რემედასის ორგანიზაციების ქსელი, წესრიგში მოვიყვანოთ წევრთა აღრიცხვისა და ამხანაგების საქმეები და სხვ.

რემედასის ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩაღონ მუშაობა რომ მშრომელთა ფართო მასებმა მორალური და ნივთიერი დახმარება გაუწიონ კაპიტალისტური ქვეყნების ციხე-საპყრობილეებში მყოფ თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

რემედასის მუშაობის შესახებ კონფერენციაზე გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა. ამ მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს მუშებმა—კარკუსოვმა, სულაქველიძემ, ხასიყიდაშვილმა, უზუნოვამ, ლევავამ, დიასკოვამ, კალმახელიძემ, არაბულოვამ, მიტროხინამ, კუპრაშვილმა და სხვ.

კამათის შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ ზუსტად განსაზღვრა რემედასელების წინაშე მდგომი ამოცანები და, სხვათა შორის, აღნიშნა რომ საჭიროა შემოდგომა-ზამთრის თვეში ერთხელ მაინც „რემედასის დღის" ჩატარება, გადიდდეს რემედასის საწევრო შენატანები, რადგან მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შემდეგაც არსებული გადასახადი მცირედ იქნა ჩათვლილი.

დასასრულ, კონფერენციამ აირჩია რემედასის ორგანიზაციის ტფილისის კომიტეტი 31 კაცის შემადგენლობით და ტფილისის კომიტეტის სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

რემედასის სრულიად—საქართველოს კრილობაზე გასაგზავნად კონფერენციამ აირჩია 96 დელეგატი. მათ შორის არიან ამხ. ლ. ბერია, გ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, სტურუა, გ. მგალობლიშვილი, გრ. არუთინოვი, ლ. ბედია, მ. გობეჩია, გ. სტურუა, პ. შარია, მგელაძე, ახობაძე, გ. გოიჩგობაიანი, გ. მუშიშვილი, მ. ნოირაძე, ს. მგვრელიშვილი და სხვ.

◆

ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა

„ფედერაცია" ამზადებს ნიკოლოზ ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემას. ამჟამად ყველა მასალა შეკრებილია და მზად არის წარმოებისათვის გადასაცემად. აკადემიური გამოცემა გამოვა ერთ ტომად, წიგნი შეიცავს 25 ნაბეჭდ ფორმას. მასალების შეგროვებასა და გამოკვლევაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი მკვლევარები და მეცნიერული ძალები. პროფ. აკაკი შანიძემ დაწერა ვრცელი სტატია — „ბარათაშვილის ენა", დოც. ს. ჯანაშიამ დაწერა — „ბარათაშვილების გვარის გენეალოგიისათვის", გ. აბზიანიძემ —„ბარათაშვილის ნამდვილი სურათის აღდგენისათვის", ალ. გაწერელიამ — „ნიკოლოზ ბარათაშვილის სტილი და თემა", პ. რაჭველიშვილმა გამზადა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიული ნარკვევი და სხვ.

წიგნი გამოდის ამხ. აკაკი შანიძის წინასიტყვაობით და რედაქციით.

გარდა უკვე ცნობილი ლექსებისა, აკადემიურ გამოცემაში შევა ნ. ბარათაშვილის აქამდე უცნობი რამდენიმე ლექსი, ვარიანტები და კერძო წერილები.

არქივებში აღმოჩნდა ხელნაწერი ჟურნალი „"Цветок Тифлисской гимназии"" რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს მასალები განსაკუთრებული ინტერესის ღირსია, ჟურნალში რამდენიმე ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელმოწერითაა გამოქვეყნებული.

აკადემიურ გამოცემაში მოთავსდება ნიკოლოზ ბარათაშვილის არსებული იკონოგრაფიული მასალები და მოცემული იქნება ცნობა მწერლის ნამდვილი პორტრეტის აღდგენისა. წიგნი ბაზარზე გამოვა მომავალი წლის პირველ კვარტალში.

◆

ახალი ამბები

○ **საქ. სახელმწიფო** ზოოვეტინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის 1936 წლის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო გამოცდების სესია დანიშნულია 1—30 დეკემბრამდე, ხოლო ვეტერინარიის ფაკულტეტისათვის 1937 წლის 7 იანვრიდან 7 თებერვლამდე. წინა წლების კურსდამთავრებულთათვის სადიპლომო თემების დაცვა ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება დანიშნულია 1—30 დეკემბრამდე.

○ **გუშინ** რუსთაველის პროსპექტზე, რუსთაველის თეატრის პირდაპირ გაიხსნა კომფორტულად მოწყობილი ახალი კაფე-სასადილო. კაფეში გაიყიდება სპეციალურად დამზადებული მაღალხარისხოვანი საჭმელები.

○ **ტფილისში** ჩამოვიდა სრულიად საკავშირო სახ.-სამეურნეო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი პროფ. ს. ი. ნიზოვცევი, რომელიც არკვევს გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობებს და ფორმებს.

○ **დღეს**, 12 ოქტომბერს, ტფილისის მოჭადრაკეთა ქვეითი ლაშქრობის მონაწილე ამხ. ოსიპოვი ცენტრ. სამხედრო კლუბში მოხსენებას გააკეთებს მოჭადრაკეთა ტფილის-ბათუმის გადასვლის შესახებ.

○ **მოზარდ** მაყურებელთა ქართული თეატრის სეზონი გაიხსნება 14 ოქტომბერს პიესა „შემობრუნებულით". თეატრის შენობა შეკეთებულია, მოწყობილია გარდერობი.

სასამართლო

მტაცებელნი სამსჯავროს წინაშე

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან (იხ. „კომუნისტის" 24 სექტემბრის ნომერი), უზენაესმა სასამართლომ ამხ. ზურაბის თავმჯდომარეობით და პროკურორის ამხ. ცვილავას მონაწილეობით 25 სექტემბერს დაიწყო ყოფილ ტსოკ-ის (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის) საამშენებლო განყოფილების თანამშრომელთა საქმე.

ბრალდებულთა სკამზე 20 კაცი ზის, იმათ შორის ყოფილი გიორგი სიმონიშვილი, ამირან ფულაქეელიძე, ცოტნე დადიანი, „მომმარაგებელი" თისებ გელოვანი, ტრესტ „მშენებლობის", „სამშენის", და „სწრაფმშენის" თავმჯდომარეები—პეტრე ძიძიგური, ბეჟან ჩხეიძე, მიხეილ კაპანაძე და სხვანი.

ბრალდებულთა და მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, რომელიც 12 დღეს გასტანა, სასამართლომ შეკითხვებით მიმართა ექსპერტებს.

ამჟამად მუშაობს იურისკონსულტ-ექსპერტიზა, ბუღალტრული და კალკულაციური ექსპერტიზა. სავარაუდოა, რომ დასკვნას იგი სასამართლოს 15 ოქტომბერს წარუდგენს, რის შემდეგ პროცესი გაგრძელდება.

მ.

◆

ახალი წიგნები

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ბოკაჩიოს „დეკამერონის" მეორე ტომი (თარგმანი თ. სახოკიასი).

ლერმონტოვის — „ჩვენი დროის გმირი"— წიგნი თარგმნილია შალვა დადიანის მიერ, მხატვრულად გაფორმებულია მხატვარ ი. შტეინბერგის მიერ.

ლევან მეტრეველის წიგნი „ანდაზები".

გ. ჩუბინიშვილის — „ქართული ხელოვნების ისტორია". წიგნი დასურათებულია და ჩასმულია მაგარ ყდაში.

რაფიელ ერისთავის მეორე ტომი—წიგნი გამოდის შალვა რადიანის რედაქტორობით, წიგნს დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა და შენიშვნები.

წიგნი მხატვრულად გაფორმებულია მხატვარ ნ. ჩერნიშევის მიერ.

◆

ფეხბურთი

საშემოდგომო პირველობის გათამაშება

დღეს, 12 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება საშემოდგომო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ სასპორტო საზოგადოებები „დინამო", „ლოკომოტივი", „მშენებლები", „სპარტაკი", „ბურევესტნიკი" და სხვ.

სეზონის გახსნის აღსანიშნავად გაიმართება ფეხბურთელთა პარადი და ორი შეჯიბრება. დღის 2 საათზე თამაშობენ ინდუსტრიული ინსტიტუტის მეორე გუნდი და 26-ის სახელობის რაიონის გუნდი, ხოლო 4 საათზე — „დინამო—ბ" და „მშენებლები".

ეს უკანასკნელი მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს. „მშენებლებმა", როგორც იციან, „საქართველოს თასი" მოიპოვეს, „დინამო—ბ" შემადგენლობაში შედის რამდენიმე მოთამაშე პირველ „დინამოდან".

პირველ მატჩს სჯის ნ. სოლონინი, მეორეს—ბ. სკოლზნევი.

○

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ტფილისის კომიტეტმა ესპანეთის ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად 6 ოქტომბერს მოაწყო ფეხბურთის და რაგბურთის მატჩი. ამ შეჯიბრებებიდან შემოსული 4.027 მანეთი გადარიცხულია ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში.

◆

შემთხვევები

○ **ქურდების შეპყრობა.** 3 ოქტომბერს ღამით წითელ-წყაროდან ტფილისში მოდიოდა „საქნავთის" ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ი. პ. პოტრიასოვი. შოფერი ღამის ცასათევად ეწვია თავის ნათესავებს ქუთაისის ქ. № 22, მანქანა კი იქვე ეზოში დასტოვა. დილით გამოირკვა, რომ მანქანიდან მოუპარავთ სათადარიგო აკუმულატორი და 9 ცალი კამერა. ამჟამად ქურდები ი. ი. ლეჟნევი და ი. ს. პოტაპოვი დაპატიმრებული არიან. მათ ჩამოერთვათ მოპარული ნივთები. ქურდებს პასუხისგებაში აძლევენ.

○ **ავარია.** მოძრაობის წესების დარღვევის გამო ტურიების და კალინინის ქუჩების კუთხეში „სასწრაფო დახმარების" ავტომანქანა № 27—92 დაეჯახა № 2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონს. შეჯახებისას დაშავდა „სასწრაფო დახმარების" სანიტარი ნ. ნ. ეგოროვი (პეტრიწის ქ. № 71). მანქანა დაზიანებულია. შოფერ ა. დ. მჭედლიძეს და ვატმან მ. ი. გარცემლაძეს პასუხისგებაში აძლევენ.

საქ. სამხედრო გზაზე საბარგო ავტომანქანა № 14—16, რომელსაც მართავდა შოფერი ვ. ი. მამაევი, დაეჯახა ველოსიპედით მიმავალ ნ. დ. გოგიძეს (მცხეთის მცხოვრები). მძიმედ დაშავებული გოგიძე საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი მამაევი დაპატიმრებულია.

● **მძარცველთა შეპყრობა.** 2 ოქტომბერს ნაძალადევის ქუჩაზე დანით შეიარაღებული ორი მძარცველი თავს დაესხა ლეხსინფრადის მცხოვრებს მოქ. გ. ი. სიმონოვს. წაართვეს პიჯაკი და 325 მანეთი ფულად. 4 ოქტომბერს მძარცველები შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ ბ. დ. მეტრეველი (მიასნიკოვის ქ. № 78) და ს. ე. პარსადანოვი. როგორც გამოირკვა, მეტრეველი ციხიდან გაქცეული.

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

12 ოქტომბერს

აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი). დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საქ. კპ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის პროგრამის მეორე თემაზე. საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია მილიციის პოლიტმუშაკებისათვის თემაზე —„კლასების ლიკვიდაცია საბჭოთა კავშირში". დასაწყისი დილის 10 საათზე.

კონსულტაცია თემაზე—„ბოლშევიკური სტრატეგია და ტაქტიკა—პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელო მეცნიერება". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი —საუბარი კომკავშირის აქტივისათვის თემაზე — „სოციალიზმი და ოჯახი". საღამოს 8 საათზე.

○

13 და 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის პროსპ. № 105) მოწვეულია საქ. ალკკ ტფილისის ორგანიზაციის აქტივის კრება საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის შედეგების გასარჩევად.

მომხსენებელია ამხ. ა. მგელაძე.

შესვლა რაიკომების მიერ გაცემული ბილეთებით.

◆

დღეს თეატრებსა და კინოებში

- ● **რუსთაველის თეატრი**— „არსენა".
- ● **მარჯანიშვილის თეატრი**—„შხის დაბრუნება საქართველოში".
- ● **ოპერის თეატრი**—„დაისი".
- ● **გრიბოედოვის თეატრი** — „[illegible] დღე".
- ● **კინო „ოქტომბერი"** — „მეცნიერების მაძიებელნი".
- ● **„დამკვრელი"** — კაპიტან გრანტის შვილები.
- ● **„კომკავშირელი"** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები".
- ● **„ლუქსემბურგი"** —„დიდი ქალაქის ჩირაღდნები".
- ● **„კომინტერნი"** — „ნაიმუხი".

საქორწილონი

ვ. ერაკელი

ამ დილითაც ჩვეულებრივ ალიონზე წამომხტარა და პირველი მოვიდა. ერნსტ ლანგენშტეინის მეცხრე ბრიგადა სწრაფად იკრიბება კანტორის წინ მიმავალები მოდიან მორთული ტიკივით გატენილი ხურჯინებით მხარზე, ხელში ზოგს ჩამჯალი უჭირავს, ზოგსაც კალათები. ქალებს ჩალის ქუდები ახურავთ, ქუდის კიდურების ჩრდილში სახე ეკარგებათ.

ბერტა ფრიკი ამ ბრიგადის თვალია. იგი ყოველთვის წინა ფურგონს დაუჯდება ხოლმე და პირველი მიერეკება ცხენებს ვენახისაკენ. მასაც და მის ამხანაგებსაც უკვე გამოზომილი აქვთ დღეს რაც უნდა გააკეთონ. წინა საღამოს ბრიგადირმა ყველა დაარიგა, ყველას თავ-თავისი საქმე მიუჩინა და დილით, როცა სამუშაოდ მიდიან, ყველამ იცის, სად მივიდეს და რა მოიმოქმედოს.

დღეს ვენახი უნდა შემოზადონ საკრეფად. ორი-სამი დღე და კრეფაც დაიწყება. ყველაფერი მზად უნდა იყოს ბერტა გულიანად იცინის და ცხენებს იმ რწმენით მიერეკება, რომ დღესაც პირველობას შეინარჩუნებს. სახე ვარდივით გაუშლია, თავი ოდნავ ქერა თმით მოუქარგავს, ხელში გამოცვლილ მხედარივით მოუქცევია სადავე და მათრახს ისე ოსტატურად უთამაშებს ხოლმე ცხენებს თვალწინ, რომ შემდეგ გადაკვრა საჭირო არც კი არის.

ყოველთვის, როცა ის ასე მოხერხებულად აიქნევს ხელს, ამხანაგები სიცილს წაასკდებიან ხოლმე, ხმაურობა ცხენებს აფხიზლებს და ისინიც ნაბიჯს უმატებენ.

უეცრივ, თითქო რაღაც მოაგონდაო, ბერტა გვერდით მჯდომ ბრიგადირს მიუბრუნდა და შეეკითხა.

— როგორ მოგეწონა, ერნსტ, ჩემი თამაში? მგონია ვენახის გარდა სცენაზეც გამოვდგები, არა?

სანამ ერნსტი უპასუხებდა, სხვებმა დაასწრეს. ქალებმა აქეთ-იქიდან წამოიძახეს:

— მშვენიერია, ვერც კი გიცანით. ისე ეშმაკურად იყავი გამოწყობილი.

— ყურძნის კრეფაზე უფრო არტისტობა დაგშვენდება — დინჯად დაუდასტურა ერნსტმა და მშობლიური სიყვარულით ალკავებ თვალი ჯერ ბერტას შეავლო, შემდეგ კი დანარჩენებს, თითქო მათგანაც დასტურს ელოდაო.

— მართალია, მართალი... დაუმატეს აქეთ-იქიდან.

წუხელ ვენახის ნაცვლად ბერტა სცენაზე ტრიალებდა. „მონების შეპრისხება" წარმოადგინეს. ბერტას სახრე კი არ ეჭირა ხელში და არც ჩალის ქუდი ეხურა. იგი მონა ქალი იყო, საზიზღარი ბატონისა და ზედამხედველის წინააღმდეგ ამხედრებული ქალი, რომელიც თავისი და თავისი ამხანაგების ადამიანურ ღირსებას იცავდა. ისეთი რიხითა და ჯავრით მოუწოდებდა ამხანაგებს შურისძიებისაკენ და შემდეგ ისე მარჯვედ მოკლა ბოლო ბატონი, რომ დარბაზი, პარტერში მჯდომ ფრიცს, ბერტას საქმროს, ამხანაგები გაეხუმრნენ.

— ბიჭო, ეს ბერტა რა ცეცხლი ყოფილა. უფრთხილდი ფრიც, უფრთხილდი!

ამ სიტყვებმა ფრიცს სიამაყე შემატა და მის თვალში ბერტა უფრო მეტად გაიზარდა.

ფურგონები ვენახს მიადგნენ. ბერტამ პირველმა ისკუპა, ცხენები მომვლელს ჩააბარა და სამმა ქალმა სწრაფად გასწიეს ოქროსფრად თვალურსული ვაზებისაკენ.

ვაზის ძირები უნდა შეეწმინდათ. მეტისმეტად დაბლა დაშვებული მტევნები აეწიათ და აეკრათ, ზედმეტი ლერწები დაეკაფათ და ვენახი საკრეფად მოემზადებინათ. ქალები გულიანად შეუდგნენ მუშაობას ბერტა შეუმჩნევლად გადადიოდა ვაზიდან ვაზზე და მალე სხვებს გაუსწრო. საუზმისათვის მას უკვე ქესამედი ჰქონდა გასხლულ გაკობტავებული.

ორიდინიანი ერნსტ კუგელის გოგონა —იდა სწავლის ფრიადოსანია, სურათზე: იდა თავის მეგობრით—ციცით.
ფოტო რ. აკოფოვის

საღამოს, როცა ნაჭმე მოითავეს ბრიგადირმა ყველას ნამუშევარს ჩამოუარა, შეამოწმა, გულდასმით გასინჯა და ჩაიწერა. ბერტას ნახელავი განსაკუთრებით მოეწონა ერნსტს.

— კარგია შვილო, კარგი — მოუწონა მან ბერტას, თან ბევრიც არის. როგორც ვატყობ ჩვენი ნორმები შენთვის მოსავლიანიც არ არის — და ბრიგადირმა იქვე აღნიშნა; 1.500 ვაზის ნაცვლად ბერტამ 3930 ვაზი მოამზადა. ეს 2,75 შრომადღეს უდრიდა, ფულად კი 30 მანეთს მაინც ნიშნავდა. ბევრს სხვასაც გადაჭარბებით შეესრულებინა ნორმა.

— კრეფაც ასე კარგად უნდა მოვაწყოთ, ამხანაგებო. ხვალ-ზეგ უკვე პირველ მტევნებს მოვწყვეტთ და ამ წლის ბარაქამ უფრო უნდა გაამდიდროს ჩვენი კოლექტივი—უთხრა ბრიგადირმა კოლმეურნეებს და სოფელში დასაბრუნებლად თადარიგს შეუდგა.

გზადაგზა კოლმეურნეები ყურძნის კრეფაზე საუბრობდნენ. შემდეგ ისევ წუხანდელ წარმოდგენას დაუბრუნდნენ. ბოლოს იმ საკითხზე ჩამოაგდეს სიტყვა, რომელიც ბერტას ყოველთვის აღელვებდა და ჭარხალივით აწითლებდა ხოლმე.

— შემოდგომაზე ქორწილს ხომ ვჭამთ, ბერტა? — შეეკითხა მას ანსელმი.

შეკითხვა სწორედ ისეთ დროს და ისეთ ადგილას იყო დასმული, როცა ფურგონი ფრიცის სახლს გაუსწორდა. ფრიცს ყველაფერი მომზადებული აქვს საქორწილოდ. შემოდგომის სამუშაოთა მოლევას უცდის. ბერტაც მოუთმენლად მოელის ამ დროს და ემზადება.

ბერტამ ანსელმს არაფერი უპასუხა. ქურდულად შეავლო თვალი საქმროს სახლს და მერე, თითქო ანსელმის განზრახვა სურსო, მოწყვეტით წამოიძახა:

— რატომაც არა!

შემდეგ უეცრივ თავი ქორწილში წარმოიდგინა, ცხენებს სადავე შეუთამაშა, ჩქილში მისწორდა, ანსელმს თვალით ანიშნა—ბანიო, და წყნარად, თავისთვის ჩვეული დაბალი ხმით წამოიწყო სიმღერა. დანარჩენებიც აჰყვნენ. უკანა ფურგონებზეც და მთელი ბრიგადა სოფელში სიმღერით შემოვიდა, თითქოს მაყრები მოდიან და დედოფალი მოჰყავთო.

ფრიცი კანტორასთან იდგა. მხიარულად შეეგება საცოლეს. მუშაობის ამბავი გამოჰკითხა. ანსელმა, ასოა იმას ჩამოუგდო ლაპარაკი ქორწილზე.

— Фриц, могу ли заранее Вас поздравить? — შეეკითხე მეც და ფურგონიდან ჩამოვხტი.

— რათა, ქორწილზე გვეწვიეთ და იქ მოგვილოცეთ!—მიპასუხა ფრიცმა ქართულად.

ბერტამ კანტორაში შეირბინა, მალე დაბრუნდა და დროებით დაგვემშვიდობა. შეგვპირდა, გადაიცვამ და საღამოს კლუბში შევხვდეთ ერთმანეთსო.

— ამბობენ, რომ თქვენ კარგი სროლა იცით, მინდა გაგეჯიბროთ —დაიყვირა მან.

— სიამოვნებით, ვცადოთ — ვუთხარი მეც და ფრიცთან ერთად სასოფლოსაკენ გავსწიე ახალი ბედნიერი წყვილის მომავალი ბინისა და მოწყობილობის სანახავად.

ასურეთი 7 ოქტომბერი.

ფოტო — აპარატით ასურეთის მილიონერ კოლმეურნეობაში

ფოტო რ. აკოფოვის

ბერტა კუშის ტყუპები შეეძინა. პაწია ვილი და ელა დედას საბავშვო ბაგიდან შინ მიჰყავს.

კოლმეურნეობის საბავშვო ბაგაში 100-ზე მეტი ბავშვია. [illegible]

თავდაცვა-[illegible] ორგანიზაციის [illegible]



კულტურის და დასვენების ბაღი კვირას ხალხით ივსება. ესტრადაზე კოლმეურნეთა სხვადასხვა წრეები უჩვენებენ თავიანთ ნამუშევარს, კოლმეურნენი ისვენებენ და ერთობიან.

კოლმეურნეობას საკუთარი სასულე ორკესტრი ჰყავს. კვირაობით ორკესტრი ბაღში უკრავს.

შენრიხ კრომერი ძველი კოლმეურნეა. წარშან მან კაპიტალური რემონტი გაუკეთა სახლს. ახლა სახლი ახლ გამოიყურება.

ადოლფ შოლი მხოლოდ 1935 წ. ბოლოს შევიდა კოლმეურნეობაში. აი მისი სახლიც! ახლა იგი მეუღლითურთ მუშაობს. მალე ადოლფსაც ახალი კოხტა სახლი ექნება.

მისამართები: რედაქციისა — ტფილისი რუსთაველის პროსპექტი № 16; გამომცემლობისა — რუსთაველის პროსპექტი. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორისა: 3—62—26, მოადგილეებისა: 3—63—01 და 3-08-67; სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულისა — 3—57—61; სასოფლო . სამეურნეო-3—73—40; მუშკორთა წერილებისა—3—73—24; გამომცემლობისა—ღამის რედაქტორისა — 3—26—67— ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ 8502